რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 24 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 68 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 68

ღრმად დამწუხრებული მეუღლე საშა, შვილები: სერგია, შალვა, მიშა, პავლე, გიორგი და თამარა, ძმა დიმიტრი, რძალი მარო, დაი ეკა, დის შვილები: ეპრაქსია და ესე ელენტები, და ნინა ბაქრაძე, მამიდას შვილი იაგორ გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ალექსი ესეს ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (გაბაევის შესახვევი № 1) დასაფლავება მოხდება კვირას 25 მარტს თფილისში წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ დღ. 10 საათზე თავის ბინიდან. წირვა და პანაშვიდი დაკრძალვის დღეს კოლუბანის ტაძარში. წერილები არავის არ გაეგზავნება. (3—2)

ღრმად დამწუხრებული ქვისლი ლევონ დიმიტრის ძე ელენტი და მეუღლე მისი ვარვარა მიხაილის ასული ელენტისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მოქალაქე

ალექსი ესეს ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. (3—2)

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ფატმან ივლიანეს ასული ჭილაძისა, ცოლის დაი ოლია, ცოლის ძმები: პეპიკო და ევტიხი ჭილაძენი, სევერიანე ყენია შვილით მარუსათი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ საყვარელ სიძის

ალექსი ესეს ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 25 მარტს, წერილი არავის გაეგზავნება. (3—2)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მღ. სილიბისტრო და სერმილო ალმასხანის ასული, ძმები: მღ. ეპიფანე, არონ, ამმონ, ანტონ, ძმის შვილები: გიორგი, შალვა, და ნოე ჩხაიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 18 მარტს თათრებთან ბრძოლის დროს ჯავშნიან მატარებელზე ტრაღიკულად მოკლულ იქმნა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პ ე ტ რ ე ჩ ხ ა ი ძ ე.

მიცვალებულს ჩამოასვენებენ თფილისში, საიდანაც შემდეგ წაასვენებენ სამშობლო გურიაში. (2—2)

გურიის საგანგებო რაზმი თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობმეგობრებს, რომ სად. აქსტაფა-ტატლუს შუა 19 მარტს ჯავშნიან მატარებელზე თავდამსხმელ თათრებთან შეტაკების დროს ტრაღიკულად მოკლულ იქმნა საუკეთესო ამხანაგი და რაზმის წევრი

პეტრე სილბისტროს ძე ჩხაიძე.

გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულმოკლული და დამწუხრებული მეუღლე ვარდო ვასილის ასული გაბრიჩიძისა შვილითურთ, ცოლის ძმები ვანო და იასონი ვასილის ძენი ფანცხავები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, წითელ გვარდიელის

დავით ტიმოთეს ძე გაბრიჩიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. თფილისიდან წაასვენებენ სოფ. მუხურაში (შორაპ. მაზრა) დაკრძალვა მოხდება სოფელ მუხურაში 25 მარტს დილის 10 საათზე. (1—1)

თფილისის რკინის გზის დეპოს რ. ს. დ. მ. პ. მუშები და მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობებთ ძვირფასი ამხ. წითელ გვარდიელის

დავით ტიმოთეს ძე გაბრიჩიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 21 მარტს.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე იპოლიტე ისიდორეს ძე გიორგაძე და შვილი მარგალიტა, მამამთილი ისიდორე, მაზლი მიხე და რძალი ნინა ალექსის ასული გიორგაძეები, დედა პელო და ძმა ვანო, დები ნინა და ელიჩკა ნათაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 22 მარტს უდროვოდ გარდაიცვალა

მარო საბას ასული გიორგაძისას.

დაკრძალვა მოხდება შაბათს 24 მარტს წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 9 ს. (ანდრეევის ქ. № 62) (1—1)

მეუღლე მარია თევდორეს ასული გორდაძისა, შვილები: ნინა, მიხეილი, გიორგი, ანტონი და რევაზი, ძმა იასონ გრიგოლის ძე გორდაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 25 მარტს დილის 12 საათზე პეტრე პავლეს ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის პანაშვიდი განსვენებულის

მათე გრიგოლის ძე გორდაძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

კვირას 25 მარტს დილ. 11 საათზე ავლაბრის კლუბში (კახეთის ქ. № 5) დანიშნულია 6, 7 და 8 სამილიციო უბნის სახლის კომიტეტების წარმომადგენელთა

საერთო კრება

განსახილველი საკითხი: პურზე ფასის მომატება. ქალაქში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის გამგ. წევრი დ. მ. პოპოვი. (2—1)

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## გადამიჯვნის გარშემო

ამიერ-კავკასიის ერების მოწყობა—მეტათ ძნელი და რთული საკითხია. არა იმიტომ, რომ პრინციპი ასეთ მოწყობის ძნელი გამოსამუშავებელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ ამ პრინციპის ცხოვრებაში გატარება მეტის-მეტათ სჭირდება.

თეორიულად სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები აყენებენ ერთა ცხოვრების მოსაწესრიგებლად შემდეგ პრინციპებს: დამოუკიდებლობას თვითეულ ერისას, ფედერატიულ კავშირს, ან ავტონომიურ ურთიერთობას მთლიან ამიერ-კავკასიაში.

ჩვენ ამჟამად არ შევუდგებით ამ პრინციპების შედარებით განხილვას დაწვრილებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ დამოუკიდებლობა პოლიტიკურათ, წვრილ ერთეულების შექმნა მუდმივ ომების ასპარეზათ აქცევდა ამიერ-კავკასიას. ფედერაციაც ამ მხრივ ვერ მოიტანს ნამდვილ თანხმობას. ყველაზე უკეთეს ფორმათ ჩვენ მიგვაჩნია ავტონომიური ერთეულების (კანტონების) შექმნა და ერთი ცენტრალური მთავრობის ყოლა მთელ ამიერ-კავკასიისათვის. მაგრამ ამ მხრივ კითხვის პრაქტიკულათ დასმის დროს დავა იქნება მხოლოდ ეროვნულ ერთეულების კომპეტენციაზე, მის სიფართოვეზე, თუ სივიწროვეზე და ეს ყოველ შემთხვევაში ადვილად მოსაგვარებელია.

სულ სხვა ხასიათი ეძლევა კითხვას, როცა ჩვენ შევუდგებით კანტონების გამოჭრას. თვითეული ერის ნაციონალისტები ამ შემთხვევაში შეუდგებიან თავის საზღვრების გაფართოვებაზე ზრუნვას და ამ ნიადაგზე შეიქმნება ის გამწვავებული მდგომარეობა, რომელიც დამწვარზე ნავთის გადასხმას ედარება. სწორეთ ამ მხრივ, ტერიტორიალურ გამიჯვნის საკითხი უძნელესი და უმწვავესი საკითხია. ჩვენი ნაციონალისტები მეტათ ჩქარობენ ამ საკითხის გადაჭრას. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი სიჩქარით საქმის გაფუჭება ვისურვოთ.

დღეს, ამ არეულობის ხანაში, ასეთ გადამიჯვნის დაწყება, ეს საყოველთაო ომის გაჩაღება იქნება. ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუციის პირველ ხანებშიაც კი, როცა აღფრთოვანება საერთო იყო და ძმობა-ერთობა ყველას პირზე ეკერა, სხვადასხვა ერთა ნაციონალისტურ ტენდენციების მორიგება მაინც არ მოხერხდა. მთელი თვეობით გაჭიანურდა საკითხი გადამიჯვნის და იგი გადაუჭრელი დარჩა. დღეს, ამ არევ დარევის ხანაში, ასეთი გადამიჯვნა კიდევ უფრო გაძნელდება.

იტყვიან, ეს მით უფრო საჭიროა და აუცილებელი, რომ ამის გარეშე ბევრი უბედურების დატრიალებაა შესაძლებელი. მაგრამ ეს საბუთი მოწმობს მხოლოდ საკითხის დაშურების საჭიროებას, მაგრამ არა მის შესაძლებლობას.

ჩვენ რომ შევუდგეთ დღესვე ამ კითხვების გადაჭრას და მისი განხორციელება კი ვერ მოვახერხეთ, რას ენიშნება ეს? ეს იქნება დაკანონება ეროვნულ ბრძოლის აუცილებლობის, დადასტურება ერთა თანამშრომლობის შეუძლებლობის ამიერ-კავკასიაში, ეს იქნება საბოლოოთ დაკარგვა ამიერ-კავკასიის მთლიანობის და ამით დაღუპვა ყველა აქ მცხოვრებ ერების.

ასეთ მდგომარეობაში ხსნა მხოლოდ გარეშე ძალაში იქნება და ვინც პირველი შემოვა ჩვენს მხარეში, ის გახდება ბატონ-პატრონი ამ ერთმანეთში აშლილი ერების და მათი მიწა-წყლის. გარეშე ძალა მიისაკუთრებს იმ ტერიტორიას და ხალხს, რომელმაც ვერ მოახერხა თავის ტერიტორიის მოხმარა და სარგებლობა.

ასეთი შედეგი შეიძლება ზოგიერთებს კიდეც სასურველათ მიაჩნდეს. ან შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ამ მხრივ ცუდ მდგომარეობაშია მხოლოდ სომხეთი და მუსულმანები, ქართველები კი ერთ კომპაქტურ მცხოვრებთა მასსას წარმოადგენენო, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საბუთი ცხოვრებაში სინამდვილეთ არ იქცევა.

აბა ჰკითხეთ აჭარას, ახალციხეს, შეხედეთ ცხინვალის ხეობას, ზაქათალის ოლქში მცხოვრებ ლეკობას, მრავალ სხვა მთიულებს და თქვენ ნახავთ, რომ თვითეულ ტომსა და ხალხს აქვს თავისი ისტორიული ტრადიციები, აქვს თავისი პრეტენზიები და ეს პრეტენზიები იმ ტერიტორიის მოზრდილ ნაწილებზე ვრცელდება, რომელიც საქართველოს თავის მიწა-წყლათ მიაჩნია.

მუსულმანთა და სომეხთა შორის ერთი მხრით, ქართველთა და მის გარშემორტყმულ—ქართველ და არა ქართველ მუსულმანთა შორის—გამიჯვნის საკითხში მოსალოდნელია დამოკიდებულების გამწვავება. და დღეს, როცა ყოველ საკითხის გადასაჭრელათ მთავარ საშუალებათ თოფ-იარაღია მიჩნეული, ეჭვი არაა, ეს საკითხი საშინელ სისხლის ღვრას გამოიწვევს, ათასჯერ უარესს და შეურიგებელს, ვინემ დღევანდელი ამბები. ოსმალეთის აგენტებს, ბოლშევიკების თავზე ხელაღებულ დემაგოგებს ამით მხოლოდ ფართე და ნოყიერი ნიადაგი მიეცემა თავის ბნელ საქმეების მოსაწყობად და ანარქიის ერთი-ორათ გასაძლიერებლად.

გადამიჯვნისთვის საჭიროა უფრო დამშვიდებული დრო, როცა დალაგებულ მუშაობას, ურთიერთ შორის მოლაპარაკებას მეტი ნიადაგი ექნება, ვინემ დღეს. და ასეთ პირობებში არც ერთი პარტია არ იქნება წინააღმდეგი გადამიჯვნის და ყველა ერის მოწყობის. „აჩქარებით ცხოვრება არავის მოუჭამია". და სწორედ ამ საკითხში უდროოთ აჩქარებას შეუძლია საქმის საბოლოოთ გაფუჭება ისე, რომ შემდეგ მას ვეღარაფერი გამოასწორებს.

## დემოკრატია და დიქტატურა

I

სოციალ-დემოკრატია, როგორც ეს სიტყვა გვიჩვენებს, დემოკრატიული პარტიაა. მას თავის სოციალურ მიზნების მიღწევა სურს დემოკრატიის საშვალებით. ამასთანავე იგი პროლეტარიატის დიქტატურასაც აცხადებს, როგორც სოციალიზმის განსახორციელებელ საშვალებას. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ორი მეთოდი ერთმანეთს?

ეს საკითხი ერთობ საინტერესო გახდა, რადგან რუსეთში ამ ხანათ ბოლშევიკური რეჟიმია გამეფებული. ამ ხანათ გერმანიაში არც ისე ადვილია საბოლოო აზრი გამოსთქვა ბოლშევიზმის ახალ ფაზაზე, საკმაოთ ცოტა და ერთობ არასაიმედო ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს, თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ უნდა ვუსურვოთ ბოლშევიკებს გამარჯვება, რადგან, თუმცა ისინი რუსეთის სოციალიზმის ერთ ფრაქციას წარმოადგენენ, მაინც მათ მომავალ ბედზეა დამოკიდებული ახლო მომავალი რუსეთის სოციალიზმისა და რუსეთის დემოკრატიისა საერთოდ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უკამათოთ ვაქოთ ბოლშევიკური მეთოდები. წინააღმდეგ რამდენათ ყოველ მათ შეცდარ ნაბიჯს შეუძლია ავნოს არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო სოციალიზმს, იმდენათ დაჟინებით უნდა გავაფრთხილოთ ისინი, რაკი ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლშევიკები ასეთ საბედისწერო ნაბიჯს დგამენ. არაფრის გზით არ უნდა ავიღოთ ხელი მათი პოლიტიკის კრიტიკაზე, არ უნდა გავხდეთ მათ ბრმა აპოლოგეტათ.

ყოველ შემთხვევაში ორი რამეს მოთხოვნა შეუძლია ბოლშევიკებს: 1) რომ ჩვენი კრიტიკა სიძულვილით არ იყოს მოწამლული, 2) რომ ჩვენ დაკვირვებით გაუკეთოთ მათ კრიტიკა, დავეყრდნოთ დამტკიცებულ ფაქტებს და ყოველი გავრცელებული ხმა ცოცხალ სინამდვილეთ არ მივიღოთ. მაგრამ სანამდე ბოლშევიკების მოქმედებისადმი განსაკუთრებულ პოზიციას დავიკავებდეთ, საჭიროა ჩვენი საკუთარი თვალსაზრისის გამორკვევა, ამიტომ პირველ პლანზე დგება საკითხი დემოკრატიასა და დიქტატურას შორის დამოკიდებულებაზე.

როგორც მარქსისტები ჩვენ არ ვსცნობთ ბუნებრივ (ნატურალურ) უფლებას. ჩვენ დემოკრატიულ პროგრამას ადამიანის საუკუნო უფლებაზე არ ვამყარებთ, არამედ პროლეტარიატის ისტორიულ მიზნის შინაარსზე. ჩვენ სოციალდემოკრატები ვდგევართ პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე, რომელსაც მივყევართ პროლეტარიატისა და ყველა ჩაგრულთა და გაყვლეფილთა განთავისუფლებისაკენ.

პროლეტარიატმა თვითონ უნდა გაინთავისუფლოს თავი, არც ერთ კლასიდან იგი არ უნდა ელოდეს შველას, რომ მან თავისი გონებრივი და საორგანიზაციო ძალები გაშალოს, მას დემოკრატიული წყობილება ესაჭიროება. დემოკრატიულ წყობილების დროს ყველაზე გარკვევით გამოაშკარავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი.

პროლეტარიატის ბრძოლა, როგორც ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა, პოლიტიკური ბრძოლაა. პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლის ყველაზე ნამდვილი იარაღი მისი მასაა. ამ იარაღის სასურველათ მოსახმარათ პროლეტარიატისათვის საჭიროა დემოკრატიული წყობილება.

თუ პროლეტარიატი დემოკრატიულ წყობილებაში მაინც ვერ ხდება გაბატონებულ კლასათ, ეს შეიძლება დამოკიდებული იქნეს ან იმაზე, რომ ის ჯერ საკმაო მრავალრიცხოვანი არაა, რომ შეძლებული კლასები მას რიცხვით სჭარბობს; ან იმაზე, რომ პროლეტარიატის დიდი ნაწილი სულიერათ არაა დამოუკიდებელი და ბურჟუაზიულ პარტიებს საითაც უნდა, იქით მიჰყავს, ან, ბოლოს იმაზე, რომ პროლეტარიატის იმ ნაწილში, რომელმაც მიაღწია დამოუკიდებელ კლასობრივ შეგნებას, ბევრს ეჭვი შედის თავის ძალებში და იმედი აქვთ, რომ ისინი უფრო მეტს მოიპოვებენ, თუ ბურჟუაზიულ ელემენტებს მიმართავენ, ვინემ თუ დაუცხრომელ კლასობრივი ბრძოლის გზით ივლიან.

თუ ამ შემთხვევებში დემოკრატიზმის გამარჯვება სასურველ შედეგებს არ მოიტანს, ეს ამტკიცებს არა დემოკრატიული წყობილების უვარგისობას, არამედ პროლეტარიატის მოუმწიფებლობას, ან იმ პირობების მოუმწიფებლობას, რომლებშიც მას უხდება მოქმედება. ამგვარათ ეს არ გვანთავისუფლებს მოვალეობიდან, რომ ჩვენ ყოველგვარ შემთხვევებში დემოკრატიის დროშა მაღლა დავიჭიროთ.

II

როგორღა არის დიქტატურის საქმე? „ძალმომრეობა ბებია არის თითოეული ძველი საზოგადოების, რომელიც ახალით" იცვლება, ამბობს „კაპიტალში" მარქსი. იმას მხედველობაში აქვს არა მკვლელობა და სიკვდილით დასჯა, არამედ „სახელმწიფოებრივი ძალა და შეკავშირებული საზოგადოებრივი ძალმომრეობა", რომელსაც ხელთ იპყრობს ახალი კლასი. როგორც იქცეოდენ წინეთ სხვა კლასები, ისე უნდა მოიქცეს პროლეტარიატიც: მან უნდა განახორციელოს თავის დიქტატურა.

მაგრამ ასეთი ძალმომრეობა არ უნდა იყოს მიმართული ხალხის, მასის წინააღმდეგ, ის ამ უკანასკნელიდან უნდა გამოდიოდეს. მან უნდა საბოლოოთ განამტკიცოს დემოკრატიული წყობილება. დემოკრატიულ პრინციპებს სავსებით უთანხმდება უმრავლესობის ძალმომრეობა უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც როგორც გაბატონებული კლასი, მასას არ აძლევს დემოკრატიულ უფლებებს, ან და ძალით ცდილობს დემოკრატიული წყობილების დამხობას და მასისთვის უფლების აყრას. ასეთ შემთხვევაში **სოციალ-დემოკრატია პრინციპიალურათ არ უარყოფს ძალმომრეობას ძალმომრეობის წინააღმდეგ.** ჩვენ ტოლსტოველები არა ვართ. ძალმომრეობის ხმარება მოპოებულ დემოკრატიულ უფლებათა დასაცავათ—ეს არის არამც თუ **ჩვენი დემოკრატიული უფლება, არამედ ჩვენი დემოკრატიული მოვალეობაც.** ძალმომრეობის ხმარება ხალხის მიერ უფლებათა დასაცავათ ამ თვალსაზრისით უბრალო მიზანშეწონილების საკითხია. ძალმომრეობას მაშინ უარყოფენ, როცა ის გამარჯვებას არ პირდება, რადგან საზოგადოთ ყოველი დამარცხება მოწინააღმდეგეს აძლიერებს.

მაგრამ ყოველი დემოკრატიული, მათ შორის სოც.-დემოკრატიული პარტია ძლიერ შეცდება, თავისთვის და პროლეტარიატის საქმისთვის დამღუპველ პოზიციას დაიკავებს, რომ მან სახელმწიფო აპარატის შემთხვევით ხელში ჩაგდებით მოინდომოს ბატონობა ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ, დემოკრატიული პრინციპების დამახინჯებით ანდა მათზე აშკარა ძალმომრეობით. ასეთი გზით ის ხანმოკლე გამარჯვებას მიიღებს, მაგრამ მოსჭრის იმ ტოტს, რომელზედაც ის ზის და შეაფერხებს და შეასუსტებს პროლეტარიატის განვითარებას.

თუ სადმე სოც.-დემოკრატისგან შედგენილ მთავრობას არ ჰყავს თავის მხარეზე ხალხის უმრავლესობა, ეს იმას ამოწმებს, რომ მისი პოლიტიკა შემცდარია, ან ის ქვეყანა სოციალიზმისთვის არ მომწიფებულა. ორივე შემთხვევაში პროლეტარიატს დიდი საფრთხე მოელის, თუ ის შეეცდება ძალით გაბატონდეს. ასეთ შემთხვევებში პროლეტარული მთავრობა უნდა ეცადოს თავის ბაზისის გაფართოვებას, რომელზედაც ის ემყარება, სხვა დემოკრატიულ წრეებთან შეკავშირდეს და ამგვარათ თავის პოლიტიკა აწარმოვოს. თუ კი ის არა პროლეტარულ კლასებთან კოალიციას უარყოფს, — პროლეტარულ პარტიისათვის კი ასეთი კოალიცია ძლიერ საეჭვოა,— მან ისეთი გზა უნდა გამოძებნოს, რომ დემოკრატიულ წყობილების შეურყევლათ გაუწმინდოს გზა სხვა დემოკრატიულ ელემენტებს, რომელთაც ხალხის მასა უმაგრებს ზურგს, და ისეთი ძალა იხმაროს, რომელიც წინ წასწევს დემოკრატიულ რეჟიმს და დაიცავს მოპოვებულ უფლებებს.

პროლეტარიატის დიქტატურა ნაყოფიერი იქნება მაშინ, როცა უმრავლესობა გაბატონდება უმცირესობაზე, ხოლო თუ ის უმცირესობას შეიცავს და მაინც შეეცადა მასაზე გაბატონებას, ეს დაღუპვას გვიქადის.

სოც.-დემოკრატია ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში იცავდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას, და ქალთა საარჩევნო უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ერთი, ისე მეორე პირველ ხანებში ხელს უწყობს რეაქციონურ ტენდენციების გამარჯვებას. არა წუთიერს, არამედ მტკიცე გამარჯვებას აქვს ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ჩვენ ბურჟუაზიულ პარტიებს საშუალებას ვაძლევთ ამ დემოკრატიული წესების დამყარებისას იქ, სადაც ისინი გაიმარჯვებენ, სადაც კი გამარჯვების იმედი ჩვენ გვექნება, იქ მათ ჩამოვიცილებთ.

ასე რომ ჩვენ ყოველგვარ პირობებში ვცდილობთ მთავრობა პარლამენტს დავუმორჩილოთ, მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელში რეაქციონური უმრავლესობაა, როგორც, მაგალითად, ახლანდელი გერმანიის რეიხსტაგში—თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ ამით ყოვლის შემძლე პარლამენტის შექმნა კი არ გვინდა, არამედ—მისი დამორჩილება ხალხისთვის, და ეს მით უფრო იოლია, რაც უფრო ფართოა საარჩევნო უფლება, რაც უფრო მოკლე ვადით ირჩევენ პარლამენტის წევრებს. რადგან არჩევნები თავისუფალია, ამრჩევლებს შეუძლია მოითხოვონ, რომ მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს მიეცეს უფლება მთავრობის დანიშვნისა და მისი კანტროლის. სულ წინააღმდეგი მდგომარეობაა, როცა მთავრობა ან ის ჯგუფი, რომელსაც ძალა-უფლება უპყრია ხელთ, არ უწევს ანგარიშს თავისუფალი არჩევნების შედეგს, ან და თავის ნებით ასხვაფერებს ამ შედეგებს, როცა ეს ამ ჯგუფისთვის ხელსაყრელი არაა. პოლიტიკური ფაქტების ასეთი განწყობილება ყველთვის დამღუპველია დემოკრატიისათვის იმ შემთხვევაშიაც, როცა მთავრობა უფრო რადიკალობს, ვინემ პარლამენტი და პროგრესის ინტერესებისათვის არღვევს ამ უკანასკნელის ხელშეკრულობას.

კარლ კაუცკი.

(დასასრული იქნება).

## ცხინვალის ამბები

გუშინ 23 მარტს ცხინვალიდან ამიერ-კავკასიის მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა ვალ. ჯუღელისაგან:

22 მარტს ჩვენმა წითელმა გვარდიამ ცხინვალი და მისი ახლო-მახლო ადგილები ხელში ჩაიგდო. მოწინააღმდეგემ ბრძოლა არ მიიღო და ჩვენ მისვლამდე მთებში გაიქცა.

მთელი მათი ძალი გროვდება ჯავის ხეობაში. მთელი დღე სამი სოფლის დაპყრობას და გაწმენდას მოვანდომეთ.

ჩვენი ჯარები ახალგაზდა არტილერისტების დახმარებით მედგრათ წინ მიიწევდა. ჩვენ მეუზუქათ დაგვეჭრეს ერთი. მოწინააღმდეგის ზარალი არ ვიცით.

ჩვენმა არტილერიამ სოფლები და-

ზოგა და სოფლიდან გამოსულ მოწინააღმდეგის ყუმბარები დაუშინა. დღეს დილიდანვე ჩვენი გვარდია მაღალ მთებს შეუდგა ბრძოლით ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ.

ფედერალისტთა რაზმი და დასახმარებლათ თფილისიდან ჩამოსული წითელი გვარდიელები გავიდა მდ. ლიახვში და დასავლეთიდან ცხინვალს ალყა შემოარტყა. ცხინვალი სამწუხარო სურათს წარმოადგენს: ყველაფერი განადგურებულია, ქუჩებზე ჩვენი ამხანაგების დანთხეული სისხლია დამხმარი.

მცხოვრებნი აღტაცებით შეგვხვდენ.

ჯერ-ჯერობით გავანთავისუფლეთ 150 ტყვე. ჯავის რაიონის ტყვეები ჯერ არ გაგვინთავისუფლებია. დიდის სიფრთხილით, რომ ჩვენც და მათ შორის პროვოკაციის მიერ შექმნილი უფსკრული კიდევ უფრო არ გავაღრმავოთ, ხვალ მივიღებთ საჭირო გადაჭრილ ზომებს.

მომხდარი ამბები მეტათ რთულია და ტრაგიკულია. ყველა მამაკაცი სოფლიდან გაიქცა, ზოგიერთი სოფლები სულ დაიცალა. დამნაშავეები სასტიკათ დაისჯებიან".

## უკანასკნელი ამბები

დონის როსტოვიდან გუშინ, 23 მარტს შემდეგი ცნობა მოვიდა:

როსტოვის ქალაქის საბჭო სახალხო კომისართა სახელით გარეკილ იქნა.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელ-ახალი არჩევნები მოხდა.

გამოცხადდა დონის ცალკე რესპუბლიკა, რომელსაც საკუთარი სახალხო კომისართა საბჭო ეყოლება.

უკრაინის ცენტრალურმა რადამ წინადადება მისცა სახალხო კომისართა საბჭოს ზავის ჩამოგდების შესახებ. უკრაინა უარს ამბობს ვორონეჟის და კურსკის გუბერნიის ნაწილზე. როგორც ამბობენ, სახალხო კომისართა საბჭო იძულებული იქნება ზავი შეკრასო.

დონის ოლქში ყაზახებს და არა ყაზახებს ზოგიერთ ადგილებში შეტაკება მოუხდათ მიწების გაყოფის ნიადაგზე. მიწის საკითხის გარშემო ამგვარივე შეტაკებას რუსეთის სხვა ადგილებშიაც აქვს ადგილი.

რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში შიმშილობაა.

ადესა, ხერსონი და ნიკოლაევი ხელიდან ხელში გადადის. არავინ იცის ამ ჟამად, ვის ხელშია ეს ქალაქები.

ხარკოვში ჯერ-ჯერობით წესიერათ მიმდინარეობს ცხოვრება, თუმცა ქალაქს სცლიან. როგორც ამბობენ, უბრძოლველათ დაუთმობენ ქალაქს გერმანელ-უკრაინელებსო.

როსტოვში დახურეს მენშევიკების გაზეთი „რაბოჩეე სლოვო". ქალაქში მხოლოდ ბოლშევიკური გაზეთები გამოდის. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები კონტრ-რევოლიუციონერებათ არიან გამოცხადებულნი და ისინი ძალით გარეკეს მუშათა დეპუტატების საბჭოდან. მენშევიკები და ესერები ამ ჟამად არალეგალურად მუშაობენ.

უკრაინაში არსებული საბჭოს მთავრობა ტაგანროგში გადავიდა. გერმანელები და უკრაინელები მიიწევენ ხარკოვისკენ, ტაგანროგისკენ და როსტოვისკენ.

აქ მიღებული ცნობებით საფრანგეთ-ინგლისის ფრონტზე მდგომარეობა სერიოზულია. გერმანელები აქ ცდილობენ ფრანგების განცალკევებას ინგლისელებისაგან და შემდეგ თითოეულად მათ დამარცხებას.

**ბაქოდან** 22 მარტს, დილის 11 საათზე პირდაპირი მავთულით შემდეგი ცნობა მოვიდა: ახლა ბოლშევიკები იარაღს ჰყრიან რკინის გზის მილიციას. მთელი ნიკოლაევის ქუჩა ნანგრევებათ არის ქცეული. დაიწვა დიდი შენობა „ისლამი", გაზეთი „კასპი"-ს რედაქცია და სხ. ბრძოლა გუშინ დილიდან შეწყდა. ამბობენ ტყვეები გაანთავისუფლესო. ქალაქში სასტიკი ზომებია მიღებული წესრიგის აღსდგენათ.

მძარცველებს ხვრეტავენ, იმედი აქვთ, რომ ხვალ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მუსულმანთა უბანში ტელეფონი არ მუშაობს. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, თუ რამდენი სახლია დაზარალებული. ყველა დაწესებულებები დაკეტილია. ამბობენ, ხვალ დაიწყებენ მუშაობასო. ქიშლაში და ბიულბიულში დაიწყო მოძრაობა, შეგროვდა 4 ათასამდე მუსულმანი. გაგზავნეს ჯავშნიანი ავტომობილი და აეროპლანიდან დაუშინეს მათ ყუმბარები. ბევრი დაიჭრა და დაიხოცა. ბოლშევიკებს ეხმარებოდენ ყველა ჯარისკაცები და წითელი გვარდიელები.

## ახალი ამბები

**სახლის კომიტეტები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა გააფართოვოს სახლის კომიტეტების უფლებები. კომიტეტებს, გარდა სურსათის განაწილებისა, დაევალებათ განაგონ თავიანთ რაიონებში ბინის საქმე, სანოვაგის განაწილება, მიაქციონ ყურადღება სანიტარულ მდგომარეობას და სხვ. ამ საკითხის გამოსარკვევათ და ინსტრუქციის შესადგენათ აირჩიეს კომისია ხუთი პირისაგან. კომისიაში შედიან კალუგინი, პოპოვი, ფირუმოვი, დავიდხანიანი და გეპშტეინი.

**ბინების შესახებ პროექტი.** ქალაქის თვითმართველობის დადგენილებით ბინის საკითხის გამგე გეპშტეინი შეიმუშავებს ბინის პროექტს და ამ დღეებში წარუდგენს საბჭოს განსახილველათ.

**ბელიკლიუჩის რაიონში** დაარსეს საადგილ-მამულო კომიტეტი; ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი გულწრფელ სალამს უძღვნიან ამიერ-კავკასიის სეიმს აგრარულ კანონის გამოცემის გამო.

**თავდასხმა.** სპარსეთიდან მომავალ ამიერ-კავკასიის ქალაქთა კავშირის სხვადასხვა დაწესებულებების მოსამსახურეებს ნახიჩევანის გზაზე თავს დასხმია ყაჩაღთა ბრბო. მოუკლავთ ხუთი კაცი მათ შორის ბეგოიძე და ბარსეგოვი. ეხლა მოსამსახურენი ბაშნორაშენში არიან, საიდანაც თათრები არ უშვებენ და მოითხოვენ იარაღის და ქონების ჩაბარებას. ქალაქთა კავშირმა ყოველივე ზომები მიიღო მოსამსახურეთა გამოსაყვანათ და ქონების გამოსაზიდათ.

**საღამოს გადადება.** რადგან ამ უკანასკნელ დროს სხვადასხვა გაბოროტებულ ადამიანთა ბრბოების ხულიგანურმა გამოსვლებმა ბევრი ჩვენი საუკეთესო ამხანაგების უმანკო სისხლი დაღვარა და სიცოცხლე მოუსპო მათ, მეოთხე რაიონის კლუბის გამგეობა აცხადებს, რომ ამ საშინელ დროს მისი ავ-შფოთებული გული ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ დღეს დანიშნული სალიტერატურო საღამო გამართოს და გადასდო ის სხვა უფრო მოხერხებულ დროისთვის. ნაყიდი ბილეთები გამოდგება.

**ლტოლვილნი** ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებაში ათასზე მეტი ლტოლვილნი გამოცხადდენ გორის და დუშეთის მაზრიდან გამოქცეულნი. საზოგადოებამ ქართულ გიმნაზიაში მოაწყო მათთვის თავშესაფარი.

**წ.-კ. საზოგადოებაში.** 20 მარტს შესდგა ქ. შ. წ. კ. ს. მთავარი გამგეობის მორიგი კრება გ. ნ. ყაზბეგის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა საზოგადოების მდივნის ვ. ბურჯანაძის მოხსენება ჩვენი სკოლების მდგომარეობის შესახებ და დაადგინა:

1) გაუდიდდეს ჯამაგირები იანვრიდან 2520 მან. წლიწადში საზოგადოების სკოლების მასწავლებლებს და ამ ნორმის მიხედვით შეტანილ იქმნან 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში: ატენის, ვარიანის, საგურამოს, ყალაშის, წერაქვის, ნავთლუღის, ზუგდიდის, წინარეხის, მოიდანახეს, გარგეთის და შრომის სკოლების მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად 27,720 მან. ამ ანგარიშით თითოეულ ზემოდასახელებული სკოლის მასწავლებლებს მარტის გასულს მიეცეს 630 მანეთი, მიღებულ 240 მანეთის გამოკლებით.

2) წ. კ. ს. სკოლების დროგამოშვებით დათვალიერება მიენდოს ადგილობრივ მცოდნე პირებს და საგზაოც მიეცეთ ფაქტიურათ გაწეულ ხარჯების მიხედვით. სიღნაღის მაზრაში არსებულ სკოლების (ნუკრიანის და შრომის) რევიზიის მოხდენა მიენდოს ნ. დ. ყაზბეგს, თელავის გრიგოლ ბურჭულაძეს, ზუგდიდის და მოიდანახეს ვლადიმერ გაგუას, ბათუმის ილია ფერაძეს, სოხუმის—პეტრე ჭარაიას, ატენის, ვარიანის (გორის მაზრა) კირილე არველაძეს, წერაქვის, ყალაშის—თფ. გუბერნიის სახალხო სკოლების კომისიას, ნავთლუღის—სექციის ერთ-ერთ წევრს, ეთხოვოს ხსენებულ პირთ თავისი სარევიზიო აქტი წარმოუდგინონ საზოგადოების გამგეობას.

3) ატენის სკოლაში სწავლა განახლდეს. გამგეობამ განიხილა აგრეთვე წ. კ. ს. მოსამსახურე პირთა მოთხოვნილებანი ჯამაგირების მომატების შესახებ და დაადგინა: მოემატოს მოსამსახურე პირთ ჯამაგირები 65 პროცენტიდან—90 პროცენტამდე.

**თანამდებობაზე დანიშვნა.** საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის კომისრათ კახეთის რკინის გზაზე ნიკ. ქარცივაძე დანიშნა.

— ტელეფონის, ტელეგრაფის და რადიო ტელეგრაფის რწმუნებულათ დაინიშნა ბართლომე გიორგის ძე სურგულაძე.

**შეპყრობა.** თავდაცვის შტაბის განკარგულებით შეიპყრეს ვიქ. გიორგაძე, რომელსაც ბრალდება ძარცვა-რბევაში მონაწილეობის მიღება. ამავე შტაბის განკარგულებით შეიპყრეს მე-28 მუშათა ბათალიონის პრაპორშჩიკი ბელიმო ბელინოვიჩი, რომელსაც ყალბი ბარათებით სურსათი მიუღია.

**დაკარგული კაცი.** 14 მარტს სადღაც წავიდა და ვერაფერი გავიგე სად იმყოფება 15 წლის ყმაწვილი თედორე (გიგა) ვანოს ძე რამაზიშვილი ხელობით „სლესარი". ტანთ აცვია თეთრი ხალათი და შავი შარვალი, ფეხზე წუღები. თუ ვინმემ რამე იცის ამ ყმაწვილისა ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი, გაზგეროვის ქუჩა № 49 სახლი ალიევისა, ელენე რამაზიშვილისას.

**ბათუმის ციხის კომენდანტათ** დაინიშნა გენერ. გედევანიშვილი, ბათუმის რაიონის თავდაცვის უფროსათ მდივანი.

**ახალ კლუბის თეატრში** წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა „არშინ მალ-ალან", 4 მოქმედებიან გაჯიბეგოვისა. ასკარას როლს შეასრულებს მ. ჯანველოვი. შემოსავალი გადაიდება „ბრილიანჩიკების", ოქრომჭედლების, მესაათეების და „გრავიორების" კავშირის სასარგებლოთ.

**კვირას, 25 მარტს,** დილის 11 ნახ. საათზე მეოთხე რაიონის კლუბში, უდელნი ქუჩა № 3, გაიმართება საბავშვო დილა, ბავშვები წარმოადგენენ ორ მოქმედებიან საბავშვო პიესას „კუდიანი ვარსკლავი".

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 4 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის ამხ. და თანამგრძნობ ქალთა კრება.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** მობილიზაცია კარგათ მიმდინარეობს. კარგათ ეწყობა აგრეთვე სახალხო მილიციის საქმეც.

— ნავთსადგურში ხშირად რუსეთიდან მიღებული „იაშჩიკები" და ბოჭკები ნახევრათ ცარიელია ან და ქვიშითა და ქვებითაა გავსებული.. ბრძოლა ამ მოვლენასთან დღევანდელ პირობებში, როცა თვითეული გემი წარმოადგენს დამოუკიდებელ მცურავ „რესპუბლიკას", რომელსაც ომის გამოცხადებაც კი შეუძლია (სოხუმის ამბები), ყოვლად შეუძლებელი ხდება.

— მეზღვაურები მოითხოვენ ფოთის ნავთსადგურის მათ ხელში გადაცემას. ასეთ მათ პრეტენზიას ენერგიულათ ეწინააღმდეგებიან სანაოსნო საზოგადოებათა მოსამსახურენი და ნავთსადგურის მუშები, ვინაიდან მათ კარგათ იციან, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას: თუ ნავთსადგურის ტერიტორია მეზღვაურებს ჩაუვარდათ ხელში, ისინი მყისვე დაიწყებენ მოთხოვნილების—მოთხოვნაზე წამოყენებას და ჩვეულებისამებრ მოჰყვებიან ფულების უკანტროლოთ ხარჯვას, რაც მხოლოდ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ დააწვება კისერზე. ჯერ ჯერობით ისინი ვერაფერს გახდენ.

— „მაიაკი" ქალაქის ხელში გადავიდა. შიგ ახალი მოსამსახურეებია.

## ქუთაისის ამბები

20 მარტის სხდომაზე ქუთაისის მუშათა საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ქუთაისის მუშათა საბჭომ მოისმინა რა მოხსენება ლეჩხუმის ამბების შესახებ, დაადგინა: გუბერნიის მთავრობა ხელმძღვანელობდა რა რევოლიუციის ინტერესებით, იძულებული იყო მიეღო სასტიკი ზომები ლეჩხუმში არსებულ ანარქიის წინააღმდეგ. კრება საჭიროთ სცნობს, რომ აღმოჩენილი და დასჯილი იქნენ ამხ. ლევან დადიეშკელიანის მკვლელები და უწესოების ხელმძღვანელნი. ამავე დროს საგუბერნიო მთავრობამ ეცადოს, რომ მან პირველ შეძლებისთანავე მოხსნას თავისი განკარგულება ლეჩხუმის კანონ გარეშე გამოცხადების შესახებ.

სახალხო მილიციის უფროსის სულაქველიძის განკარგულებით დააპატიმრეს ქალაქის კომენდანტი შტ. კაპიტანი ალექსანდრე ქრისტეფორეს ძე ცქიტიშვილი და მისი ადიუტანტი ბაგრატ კიმოთეს ძე გვამბერიძე. აღნიშნული პირები მთვრალები შესულან 19 მარტს მილიციის უფროსთან და ყვირილით რაღაც „ანგარიშების" გასწორება მოუთხოვიათ. ამის საპასუხოთ მილიციის უფროსმა ორთავე დაატყვევა და საგუბერნიო ციხეში მოათავსა.

## სად.-მამული რეფორმა

თფილისის საგუბერნიო მიწის კომიტეტმა გადასწყვიტა შეადგინოს 11 მიმღები კომისია თფილისის გუბერნიისათვის. თითო მაზრისათვის თითო კომისია, ხოლო გორის მაზრისათვის, როგორც ყველაზე მეტისათვის, სამი მიმღები კომისია იქნება. უკვე დანიშნული არიან აღნიშნული კომისიების თავმჯდომარენიც.

— შედგენილია აგრეთვე სია მიწის მზომელებისა, რომლებიც კომისიების ხელმძღვანელობით იმუშავებენ მემამულეთა მიწების მიღების საქმეში. თვითეული მიმღები კომისიისათვის განზრახულია ორ-ორი მიწის მზომელის მიჩენა.

— თფილისის საგუბერნიო მიწის კომიტეტი ახლო მომავალში შეუდგება მემამულეთა მიწების ჩამორთმევისა და მიღების საქმეს. გადაწყვეტილია პირველათ ჩაიბარონ ციციანოვების მამული ბეთანია (კოჯორის მახლობლათ). ამ მიზნით ყოველგვარი წინასწარი მუშაობა უკვე შესრულებულია და მიმღები კომისია ამ დღეებში გაემგზავრება მამულის მისაღებათ.

— მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებით ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის მაზრებისა და სოხუმის ოლქის კომისრათ დაინიშნა ამხ. ვასილ ქავჟარაძე.

**აგრარულ კომისიაში**

22 მარტის სხდომაზე აგრარულმა კომისიამ განიხილა მოხსენება იმის შესახებ, თუ რა პრინციპების თანახმად უნდა მოხდეს მამულების სახალხო-სამეურნეო ღირებულების გამორკვევა და მოეწყოს მათი გამგებლობა. კომისიამ მიიღო მოხსენების ძირითადი დებულებები და დაადგინა გამოიცეს ცალკე კანონი იმ მამულების შესახებ, რომლებსაც აქვთ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. სათანადო კანონპროექტის შემუშავება მიენდო ქვე კომისიას. ყველა კულტურული სახალხო მნიშვნელობის მამულები არ დაუნაწილდება გლეხებს, არამედ—გადაეცემა ცენტრალურ საზოგადოებრივ ორგანოს. კანონპროექტში ჩამოთვლილი იქნება ყველა ასეთი მამულები. ამავე კომისიას გადაეცა საკითხი სასტორიო—საარქეოლოგიო ადგილების შესახებ.

## თავდაცვა გარეშე მტრისაგან

**საჭიროა ესეც გვახსოვდეს...**

გარეშე მტრისაგან კარზე მომდგარმა დიდმა საფრთხემ შესაფერი გამოძახილი ჰპოვა მთელი ამიერ-კავკასიის შეგნებულ დემოკრატიაში.

ხალხის ფართო მასსა, ზოგი შეგნებულათ, ზოგიც, შეიძლება, ინსტიქტიურათ მიხვდა, თუ რა მძიმე უღელს უმზადებს მთელ ჩვენ ქვეყანას ოსმალეთის გაბატონება. ამიტომაც არის, რომ ყველა, ვისაც კი სავსებით არ დაუკარგავს ადამიანური ღირსება, ვისიც გონება კიდევ არ მოუწამლა ერთი მუჭა უპასუხისმგებლო ჯგუფის ბოროტი აგიტაციით და აშკარა მოღალატური პოლიტიკით, დღეს იარაღს ისხამს და ფრონტისაკენ მიეშურება.

პირველი ადგილი ამ მხრით, როგორც მოსალოდნელი იყო, გურიამ დაიჭირა.

აქ საჭირო არ არის აგიტაცია. პირიქით, ბევრი დღეს სახლში მოცდას სირცხვილათაც სთვლის და უკმაყოფილოა, თუ მას ჯარში არ აგზავნიან. რას უშვრები წვრილ ცოლ-შვილს, უმეპადოთ დარჩენილს,—ვეკითხები ბათუმში ჩამოსულ ერთ ჭაღარა მეზობელს.

„რა ვქნა, შინ სულ ვერ გავძლებ, ისევ აქ ყოფნა მირჩევნია, აქ უფრო მოსვენებული ვარ სულიერათ მაინც"—იყო მისი პასუხი.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მეტათ მოსაწონია, მაგრამ არის ერთი გარემოება, რასაც არ შეიძლება არ მიექცეს სერიოზული ყურადღება. ეს გარემოება მდგომარეობს შემდეგში:

ვინ არ იცის რა მწვავეთ დგას დღეს ჩვენში სურსათის საკითხი; ძნელათ მოიპოვება ისეთი ოჯახი, რომელსაც მთელი წლის სარჩო ჰქონდეს. ადვილი წარმოსადგენია თუ, რა იქნება ცოტა ხანს შემდეგ.

ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ მთელი ხალხი, ან და მისი დიდი უმეტესობა მოშორდა სოფელს, და ამ რიგათ დარჩა დაუთესავი საყანე მიწების დიდი ნაწილი. თავის თავათ ცხადია, რომ მომავალში სასურსათო კრიზისი ერთი-ორათ გამწვავდება და შიმშილი აუცილებელი იქნება.

აქ სახეში მისაღებია ის ცნობებიც, რომლებიც ამ ბოლო დროს მოდის ჩრდილო კავკასიიდან: დაუსრულებელი ანარქიისა და სამოქალაქო ომის წყალობით თურმე იქ ხვნა-თესვის საქმე ცუდათ შეფერხებულა და, ცხადია, ამიერ კავ-

## არეულობა ცხინვალის რაიონში

ცხინვალში მომხდარმა არეულობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ის ჯერ კიდევ არ არის ჩაქრობილი და ძნელია თქმა, როდის მოხდება მისი ლიკვიდაცია. ამ საერთო ანარქიის დროს, როცა მოქალაქის სულიერი მყუდროება შერყეულია და ის ადვილათ ითვისებს ყოველგვარ შეუსაბამო ამბებს, პრესა თითქოს სარგებლობს ამ მოვლენით და მკითხველის მდგომარეობას ექსპლოატაციას უწევს. ცხინვალის ამბების გარშემო უკვე მრავალი შეუსაბამო ცნობები გავრცელდა და ბევრმა დაინტერესებულმა ჟურნალისტმა ჰკუის სწავლებაც და შენიშვნებაც კი დაგვიწყო ამ ამბების გამო. „ვოზროჟდენიე", მაგალითად, დარწმუნებულია, რომ სოციალდემოკრატებმა დაღუპეს ქვეყანა: ჩვენ რომ მიტინგებს არ ვმართავდეთ და დამსჯელ რაზმებს ვგზავნიდეთ ხშირ-ხშირათ, ანარქია აქამდის თურმე მოსპობილი იქნებოდა. ცხინვალის ამბების თავისებურათ გაშუქებას უკვე შეუდგენ და ამიტომ საჭიროა მოვიყვანოთ ზოგიერთი ცნობები, რომ შესაძლებელი გახდეს მისი დაფასება და სწორი დასკვნის გამოტანა. მკითხველი, იმედია, მაპატიებს, თუ ზოგიერთ წვრილ ამბებსაც მოვიყვან, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ეს წვრილმანები საჭიროა საერთო სურათის წარმოსადგენათ.

**1. აპარატთან.**

კვირა დილით, მარტის 18-ს მე და სეიმის წევრი გიორგი გაგლოევი გორში ჩავედით. მე დავალებული მქონდა მუშათა საბჭოს დათვალიერება, ხოლო გაგლოევი უნდა წასულიყო ცხინვალში, საიდაც, როგორც ცნობა იყო მოსული, რაღაც არეულობა მზადდებოდა. ამ დროს უკვე ცხინვალში იმყოფებოდა კომისარი ამხ. გიორგი მახაბელი. მუშათა საბჭოს წევრები წითელ გვარდიაში იყვენ გაფანტულნი, ზოგი ცხინვალში წასულიყო და კრების მოხდენა შეუძლებელი იყო. გაგლოევის წინადადებით გადავწყვიტე მეც ცხინვალში წავსულიყავი, თუ ეს საჭირო იქნებოდა. ტელეგრაფით ველაპარაკეთ მახაბელს. მან გადმოგვცა: „სამხედრო ძალა საჭირო არ არის. მართალია გარს გვარტყია შეიარაღებული ჯგუფები, მაგრამ უკვე ვინახულეთ მათი დელეგატები და ყველაფერში შევთანხმდით. ამ მინუთში (ეს იყო 12 საათზე) მიტინგზე იკრიბება ხალხი და დელეგატების დასწრებით საქმეს გავათავებთ. თქვენი ჩამოსვლა კი ძალიან საჭიროა, უნდა მოვილაპარაკოთ". მე გამოცდილებით ვიცოდი გიორგის გულკეთილობა და ამიტომ განმეორებით შევეკითხეთ სამხედრო ძალის შესახებ. კვლავ გვიპასუხა: ძალა საჭირო არ არის, საქმეს ვათავებთ, მხოლოდ თქვენ ჩამოდით. ჩვენც გადავწყვიტეთ წასვლა და ორის ნახევარზე უკვე გავედით გორიდან.

**2. სადარაჯო პოსტთან.**

ტყვიავში და, განსაკუთრებით ტირძნისში, შეიარაღებული ჯარისკაცები დაგვხვდენ. ისე დადიოდენ ხიშტიანი თოფებით, გეგონებოდათ საომრათ აპირებენ წასვლასო. ტირძნისში (ცხინვალამდის 7 ვერსია) გვითხრეს: ცხინვალს გასაჭირი სდგომია, შეგვიძლია ასი შეიარაღებული კაცი გაგატანოთ საშველათო. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და გზას გავუდექით. ის იყო სამი ვერსით დავუახლოვდით ცხინვალს, რომ იმ ადგილას, სადაც მატურებია, შეიარაღებული ჯარისკაცები დავინახეთ საფრებში ჩამსხდარნი. საფრიდან ორი სალდათი გამოხტა, გაგვაჩერა და ბოდიშის მოხდით გაგვჩხრიკა. ერთმა გაზეთი გვთხოვა და გაგლოევმაც „საქართველო" დაუტოვა, დაიძრა თუ არა ფაიტონი, იქვე ახლო სანგრებიდან სხვა სალდათები გამოვიდენ და იმათაც გაგვაჩერეს. ჯერ იმათაც ბოდიშის მოხდით დაგვიწყეს ჩხრეკა, მაგრამ მალე კიდევ გაჩნდა ორი სალდათი (როგორც ლაპარაკზე შევატყვე, ოსები უნდა ყოფილიყვნენ) და ჩვენს კეთილ განწყობილებაში სრული დისონანსი შეიტანა. რატომღაც მე არ მოვეწონეთ და თითის დაქნევით ფაიტონიდან ჩამოსვლა მიბრძანეს. სახეზე რაღაც ბოროტი განზრახვა ეხატებოდათ. გაგლოევმა მოინდომა საქმის გამოკვლევა და სეიმის წევრობის მოწმობა ამოიღო. ამან ცეცხლზე ნავთი გადაასხა, ის ნახნავებში გადაიყვანეს, ჯაშუში ყოფილხარო, უთხრეს და შემდეგ მეც ჩამომაბძანეს ფაიტონიდან, ისინი ოსურათ ლაპარაკობდენ და გაგლოევის სახეზე მე ამოვიკითხე, რომ ჩვენი დახვრეტა უნდოდათ. დიპლომატობა საჭირო აღარ იყო და მე პირდაპირ ვკითხე გაგლოევს მგონი მოკვლას გვიპირებენ მეთქი, რაც მან თავის დაქნევით დაადასტურა. ჩვენ მათ „რეჩით" მივმართეთ, ავუხსენით, რომ ჩვენი მოკვლა არ არის ვაჟკაცობა და სხვა ასეთები. ჯერ უკან მოაბრუნეს ფაიტონი, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებაც აგვიკრძალეს. გვეუბნებოდენ: რისი გეშინიათ, ჩვენ არ მოგკლავთ, მხოლოდ სოფელში ჩაგიყვანთო. ცხინვალში მაინც რა გინდათ, იმათთან ჩვენ ბრძოლა გვაქვს, დღეს საღამოს შევალთ და ყველას ამოვხოცავთ და ვერც თქვენ გადარჩებითო. როცა ბრძოლის მიზანი გამოვკითხეთ, გვითხრეს თავადები და წითელი გვარდია შეერთდენ და ხალხს ებრძვიანო. ცხადია, ჩვენ გორში დაბრუნება ვარჩიეთ, მაგრამ ისინი სოფელში გვეპატიჟებოდენ. ბოლოს ორმა სალდათმა „გვიხსნა"—ერთი ოსი იყო და ერთიც ქართველი—იმათი რჩევით ცხინვალში წასვლის ნება მოგვცეს. ის იყო ადგილიდან დავიძარით, რომ ერთმა სალდათმა ჩვენი თვალის წინ გადასჭრა ტელეგრაფის მავთული. აშკარათ ვიგრძენით, რომ გალიაში მივდიოდით, მაგრამ სხვა გზა არ იყო: სალდათებთან „სტუმრათ" ყოფნას, ისევ ჩვენს ამხანაგებთან სიკვდილი გვერჩია და ცხინვალში შევედით.

**3. მიტინგზე.**

პირდაპირ მიტინგზე გავეშურეთ, ხუთი საათი იქნებოდა, ის იყო მახაბელი რეზიუმეს უკეთებდა სხვების ნალაპარაკევს, უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნისო თქვა. მეტი არ იქნება ამ სახალხო გმირის სიტყვების მოყვანა. „ამხანაგებო", თქვა მან: 1905 ში გადაწყვეტილი მქონდა სიკვდილი და შემთხვევამ სიცოცხლე მაჩუქა. მას შემდეგ ჩემი სიცოცხლე ერთგვარი საჩუქარია. მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ მომეცით ნება იქ მოვკვდე, სადაც ეს საჭიროა, გამიშვით ისევ აწყურის პოსტზე. რაც შეეხება თქვენს მოთხოვნებს—მიმართა მან დელეგატებს—იმას ჩვენ საქმებით ვლებულობთ. აი ეს მოთხოვნები: თქვენ ითხოვდით გორის მაზრიდან თავად-აზნაურების გაძევებას, მაგრამ შემდეგ ჩვენ დავეთანხმეთ ერთმანეთს, რომ ასეთ დადგენილებისათვის ქვეყანა სასაცილოთ აგვიგდებდა,—ეს კითხვა ხომ მოვხსენით. მართალია, მართალიაო, შესძახეს აქეთიქიდან. მეორე თქვენი მოთხოვნაა—ხარებოვის და სხვების განთავისუფლება—ესეც ადვილი საქმეა, მესამე—ყაზიშვილის, ილ. მაისურაძის, გოგინოვის და კიდევ ერთის აქედან წაყვანა—ამასაც ვასრულებთ. რაც შეეხება იმას, რომ სიტყვის თავისუფლებას, იარაღის გადაცემას აღმასრულებელ კომიტეტების განკარგულებაში—ეს ხომ ჩვენი დიდი ხნის სურვილიაო. მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ გიორგი გაგლოევმა. თუმცა კამათი შეწყვეტილი იყო და სიტყვა მომცეს მე, როგორც მუშათა ცენტრის წევრს, მაგრამ ტრიბუნაზე აიჭრა რაიონის კომისარი კულუმბეგოვი და გაცხარებით წარმოსთქვა: კმარა ლამაზი სიტყვები და დაპირებები, საქმე ასრულებაო. ყველაფერი აირია. ავედი და დავიწყე ლაპარაკი, მინდოდა მდგომარეობა გამომერკვია, მაგრამ მოულოდნელათ გორაკებიდან თოფების სროლა ასტყდა და ხალხი დაიფანტა. უცებ მომაგონდა სალდათების ნათქვამი, ცხინვალში მივალთ და ყველას ამოვხოცავთო, დაუპირდაპირე ამას მავთულის გადაჭრა, ახირებული მოთხოვნილებები და მთავრობის წარმომადგენლის კომისარ კულუმბეგოვის სიტყვები და საბოლოვოთ დავრწმუნდი: რა ოსტატურათ გაიბათ ვილაცეებს პროვოკაციის ქსელი, რომლის ნაყოფიც მალე ვიგემეთ.

**4. თავდაცვის მზადება.**

თოფების სროლა გრძელდებოდა. „ომი" უკვე გამოცხადებული გვქონდა. ჩვენ მოვემზადეთ: მახაბლის, არჯ—ის, და კ—შვილის ხელმძღვანელობით და ჩვენი მონაწილეობით გამომუშავებულ იქნა გეგმა, ჩვენს განკარგულებაში მყოფი სამი ტყვიისმფრქვეველი ადგილზე დადგეს, პატარა ზარბაზანიც მოამზადეს და პოზიციები გაინაწილეს. სულ ორასი კაცი გვყავდა. თავდამსხმელთა რაოდენობა არ ვიცოდით, მაგრამ სროლაზე ეტყობოდა, რომ ბლომათ უნდა ყოფილიყვნენ. იგრიალა ზარბაზანმა, ტყვიისმფრქვეველებმა იწყეს საზარელი ტრა-ტა-ტა ტა, ტრა ტა-ტა ტა. ჰაერში ომის სუნი დატრიალდა. ცხრა საათიდან ცხინვალის ირგვლივ ვენახებში ლობეებს ცეცხლი გაუჩინეს, მაგრამ ამით თავდამსხმელებმა ვერ ისარგებლეს. პირიქით ჩვენს გვარდიელებს ცეცხლი მიზანში სროლას უადვილებდა. თერთმეტ საათისთვის უკვე სამოცამდე ტყვე მოიყვანეს ჩვენებმა. თორმეტ საათზე თავდამსხმელებმა სროლა შესწყვიტეს და ამიტომ აღარც ჩვენები ესროდენ: იმედს კიდევ არ ვკარგავდით, რომ აჯანყებულები გონს მოვიდოდენ; პატრონებიც ნაკლებათ გვქონდა. ბრძოლა შესწყდა და დილის ხუთ საათამდე აღარ განახლებულა.

**5. რისთვის გვებრძოდენ.**

ძილი რომ არ მოგვეკიდებოდა სასარგებლო გასართობი მოვიგონეთ: გადავსწყვიტეთ ტყვეების დაკითხვა, რომ გაგვეგო, რა ხალხი გვებრძოდა. რასაკვირველია, მტერი სიმართლეს არ გვეტყოდა, მაგრამ მაინც ბევრი რამ გავიგეთ. დაჭერილებმა არაფერი იცოდენ იმ მოთხოვნილებების, რომლებსაც ზემოთ გავეცანით, დაჭერილების უმრავლესობას ოსები შეადგენდენ, მაგრამ იყვენ ქართველებიც. ხელმძღვანელობდა ვინმე ხასიევი, სამხედრო პირი, მოსულები იყვენ შორეულ სოფლებიდან. ზოგისთვის ეთქვათ ცხინვალს თათრები შემოესიენ და საჭიროა დაცვაო, ზოგი კი თავადების და გვარდიელების წინააღმდეგ საბრძოლველათ წამოსულიყო. რა აზრისაც არ უნდა ვიყოთ ამათ ჩვენების შესახებ, ერთი რამ უცილობი იყო: გვებრძოდენ და არაფერი კი არ იცოდენ იმ მოთხოვნილებების შესახებ, რომელიც დელეგატებმა წამოგვიყენეს.

პროვოკატორების მოქმედება ჩვენთვის აშკარა იყო. მაგრამ ვაი რომ საკმაო ძალა არ გვქონდა ხელთ.

**6. ამხ. კოტე და კომის. კულუმბეგოვი.**

საშიშ მდგომარეობაში ჩავვარდით: ხალხი ცოტა გვყავდა, პატრონები გვაკლდა და მთელ ქვეყანას მოწყვეტილი ვიყავით. გამოჩნდენ მეტივეები და გორში ამბის მიტანა აღგვითქვეს, მაგრამ ტივებით შეუმჩნეველი გასვლა შეუძლებელი იყო. ისევ ამხ. კოტემ იდო თავს სახიფათო საქმე და გადაცმული, ფეხით გაემგზავრა გორში ჩვენი ამბის მისატანათ. თუ გაუგებდენ სიკვდილი არ ასცდებოდა, მაგრამ კოტე პატიოსანი შრომის შვილია და ხალხისთვის თავდადებული, მას სიკვდილის არ ეშინია. სად იყო ამ დროს კომისარი კულუმბეგოვი, რომელსაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, სამსახური ავალებდა მოსულ ყაჩაღებისაგან დაეცვა ხალხი. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენით. მხოლოდ მეორე დღეს მოვახერხეთ მისი მოყვანა შტაბში. აქ მან განაცხადა: დაღლილი ვიყავი და გამოვიძინე, თანაც თქვენმა გვარდიელებმა ეჭვით დამიწყეს ყურება და მოკვლის მეშინოდაო. ის არ დაგვიტყუებია, ისე

კასიას უშრება პურის ის უმთავრესი წყარო, რომელსაც აქამდე ეს მხარე წარმოადგენდა. ყოველივე ეს გვავალებს ჩვენ, დღეს რაც შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენში მიწების თავის დროზე დამუშავების საქმეს; რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ვეცადოთ, რომ არც ერთი ნაჭერი მიწა არ დარჩეს დაუთესავი, თუ გვინდა, რომ ხალხი სიმშილით არ ამოიხოცოს.

აი ამ გარემოებას უნდა მიაქციონ დროზე ჯეროვანი ყურადღება სხვა ორგანიზაციებთან ერთად იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც განაგებენ ადგილობრივ ჯარის მობილიზაციის და მოხალისეთა რაზმების შედგენის საქმეს, საჭიროა ამ საქმეში ერთნაირი გეგმისა და ანგარიშის შეტანა, მისი აგრეთვე ორგანიზაციულად წარმოება, რომ სოფელს ამ მუშაობის დაწყებისთანავე საკმაო მუშა ხელი შერჩეს და მიწები დაუმუშავებელი არ დარჩეს.

დაყოვნება აღარ შეიძლება, სოფლად მუშაობის დრო უკვე დაწყებულია და რაც უფრო მალე მიიღებს საჭირო ზომებს ადგილობრივი ორგანიზაციები, მით უფრო კარგი იქნება, რადგან, რაც უფრო მაძღარი და მაგარი გვექნება „ზურგი", მით უფრო მაგარი და ძლიერი იქნება ფრონტიც და პირიქით. ეს დღევანდელმა ომის წარმოებამ აშკარათ დაუმტკიცა ყველა მეომარ ქვეყნებს და ამ გაკვეთილით უნდა ვისარგებლოთ ჩვენც.

სახლში დარჩენილებს უნდა მივუჩინოთ ინსტრუქტორები და თავისუფალ დროს შევასწავლოთ იარაღის ხმარება და საომარი წესები, რომ საჭიროების დროს შეიძლებოდეს მათი პირდაპირ ფრონტზე გაგზავნა.

რ. რამიშვილი.

## პეტრე ჩხაიძე მოჰკლეს

აქსტაფიდან ჯავშნოსან მატარებლის № 4 უფროსისაგან გულშემზარავი ამბავი მივიღეთ: „პეტრე ჩხაიძე მოგვიკლესო".

ამ ამბავმა თავზარი დასცა თფილისის მ. და ს. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის საგანგებო რაზმს.

მას გამოაკლდა ერთი საუკეთესო, საყვარელი ამხანაგთაგანი პეტრე. რაზმს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო გამოჯანმრთელება გაციებული გვამი ამხანაგ ვარლამ ჭანტურიშვილისა, რომ მას მეორე უბედურობა თავს დაატყდა.

დღიდან ომის დაწყებისა უკანასკნელ სამ თვემდე მას ერთხელაც არ ჰქონია საშუალება სამშობლოს სტუმრებოდა. დასავლეთ ფრონტიდან ის ხშირათ ათავსებდა წერილებს ჩვენს გაზეთებში „დიოგენის" ფსევდონიმით. დღეს კი აღარა გვყავს პატარა დიოგენი.

დაბრუნდა თუ არა სამშობლოში ის ჩაეწერა საგანგებო რაზმში, საიდანაც, როგორც საუკეთესო არტილერისტს მოუწია გადასვლა ჯავშნოსანზე. აი ამ ჯავშნოსანზე მოკლულ იქნა ის შავრაზმელებისაგან.

გული გვიკვდება პეტრეს დაკარგვით არა მარტო, როგორც პარტიული ამხანაგის, არამედ როგორც ზედმიწევნით პატიოსანის, უწიკვლო, ზნეობით სპეტაკი ადამიანისა.

აღარა გვყავს ლაჩხუთის სცენის მაცოცხლებელი პეტრე.

მშვიდობით საყვარელო ძმაო და ამხანაგო პეტრე!

შენი ამხანაგები შენს მიერ არჩეული გზით ივლიან. შენი ფაქიზი ზნეობა მათთვის სამაგალითო და მისაბაძი იქნება და ფიცს სდებენ შენი წმინდა ცხედრის წინაშე, რომ განახორციელებენ იმ იდეალებს, რომლებისათვისაც შენ ასე თავგამოდებით იბრძოდი.

შენი ძმა და ამხანაგი კოტე.

## აღმასრულებელ კომიტეტში

21 მარტს შესდგა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

მცირე კამათის შემდეგ კომიტეტმა დაადასტურა ბიუროს დადგენილება, რომლის თანახმად აკრძალულია კარტის, ლოტოს და სხ. თამაში კლუბებში, სახაიებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში და კერძო ბინაზე. ვინც არ დაემორჩილება ამ დადგენილებას, 100 ათას მანეთით იქნება დაჯარიმებული; მოთამაშეთა ფულები გადაეცემა ხაზინას.

თფილისის სისხლის სამართლის ტრიბუნალის კანონპროექტი გადაეცა აღმასრულებელ კომიტეტის იურიდიულ კომისიას განსახილველად.

ნოე ჟორდანიამ გააცნო დამსწრეთ ცხინვალის და ბაქოს ამბები. მისი წინადადებით ფეხზე ადგომით „პატივსცეს ცხინვალში მოკლულ წითელ გვარდიელების და მათი მეთაურების, ვალ. გოგუაძის ჯავშნიან მატარებლის რაზმელის პეტრე ჩხაიძის და ვარლამ ჭანტურიშვილის ხსოვნას.

განჯაში მომხდარ ამბების შესახებ გ. მახარაძე ამბობს, რომ ამ ამბების მთავარი მიზეზი იყო მე-119 პოლკის ქონების დანაწილებაო. ქონებისა და იარაღის ნაწილი, რომელიც უნდა გადაეცათ მუსულმანებისათვის, იყო სომხების ხელში, რომლებმაც წერილობითი პირობა დასდვეს გადავსცემთ ყველაფერს კუთვნილებისამებრო. თებერვალში მუსულმანებმა დაჟინებით მოითხოვეს იარაღი. მაშინ სომხებმა განაცხადეს, რომ მათ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ მუსულმანების მოთხოვნილება, ვინაიდან სამხედრო ნაწილებმა და მცხოვრებლებმა თავის ნებით დაიტაცეს ყველაფერიო. მუსულმანებმა განაცხადეს, რომ ისინი არ დაადგებიან მორიგების გზას, სანამ მათ არ მისცემენ იარაღს, რომელიც მათ ეკუთვნის უფლებით. ბაქოდან ჩამოსული მუსულმანთა და სომეხთა დელეგაციები უძლურნი აღმოჩნდნენ მოერიგებიათ მოდავე მხარეები. სეიმის დელეგაციამ შესძლო მორიგების ჩამოგდება, იგი დაპირდა მუსულმანებს, რომ ისინი იარაღის ნაწილს მიიღებენ თფილისიდან. 9 მარტს ორივე მხარემ მოაწერა ხელი შერიგების ქაღალდს. მუსულმანებმა და სომხებმა სიტყვა მოგვცეს, რომ მოძრაობა განახლდებოდა რკინის გზაზე და ბალაჯარაში შეჯგუფებულ სომხის ჯარებს მიეცემათ წამოსვლის საშუალებაო. 10 და 11 მარტს ბაქოს, განჯას და თფილისს შუა აღდგენილი იყო ნორმალური მოძრაობა. მუსულმანთა და სომხის მასსის შორის შუღლი და მტრობა არ არის, მხოლოდ შოვინისტები ამწვავებენ საქმეს და სპეკულიანტები, რომლებისთვისაც სასარგებლოა გზების დახურვა.

მიღებულ ცნობების თანახმად შეთანხმება ისევ დარღვეულა და მოძრაობა შეწყვეტილა.

დასასრულ გადაწყდა ქალაქის დამცველ შტაბთან შესდგეს 5 კაცისაგან კოლეგია და მიეცეს წინადადება მთავრობას, მიიღოს ყოველივე ზომები, რომ ეროვნული საბჭოები და კერძო დაწესებულებები არ ახდენდნენ გამოსვლებს თავის ნებით

## წითელგვარდიელთა წარმომადგენლების თათბირი

20 მარტს თფილისში უნდა შემდგარიყო ამიერ-კავკასიის საბჭოების წითელ გვარდიელების წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობაზე ჩამოვიდნენ პროვინციიდან დელეგატები, მაგრამ ყრილობა დანიშნულ დროს ვერ გაიხსნა, რადგან მას ვერ დაესწრნენ თფილისის გვარდიის დელეგატები და ხელმძღვანელები. უკანასკნელნი თფილისის გვარდიასთან ერთად გაეშურნენ 20 მარტს ცხინვალში იქაური ამხანაგების დასახმარებლად და რევოლიუციონური წესრიგის აღსადგენად. ამიტომ 22 მარტს დღის 12 საათზე სახალხო სახლში შესდგა ჩამოსულ დელეგატთა მხოლოდ თათბირი. თათბირი გახსნა საორგანიზაციო ბიუროს წევრმა ამხ. დ. საგირაშვილმა. მსჯელობა გაიმართა ერთი საკითხის გარშემო—დაუცადოთ ცხინვალიდან ამხანაგების დაბრუნებას, თუ ყრილობა გადაიდვას შემდეგისათვის. ზოგიერთები უკანასკნელ აზრს იცავდენ, მაგრამ თათბირმა დაადგინა—დაუცადოს კიდევ 2 დღე და შემდეგ ცხინვალიდან მიღებული ცნობების თანახმად იმსჯელოს ყრილობის გახსნისა, თუ გადადების შესახებ. მანამდე კი, თათბირმა საჭიროდ სცნო იმართებოდეს ასეთი თათბირები, რომელზედაც განიხილავენ და დაამუშავებენ დღის წესრიგში დასმულ კითხვებს, რომ ამით ყრილობას გაუადვილოს მუშაობა. თათბირმა აირჩია პრეზიდიუმი (ბ. კუპრაშვილი, მ. საბაშვილი და თათარაშვი) და შეუდგა მუშაობას. პირველი სხდომა თათბირისა გაიმართა 22 მარტს საღამოს 6 საათზე სასახლეში—სეიმის ზალაში. მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

თათბირმა დაადგინა აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა ცხინვალისა და აღსტაფაში გმირულად დაღუპული ამხანაგების დაკრძალვაში. ამ მიზნით არჩეული იქნენ წარმომადგენლები (ვ. ქარცივაძე და ხიზანაშვილი) დასაფლავებაზე თათბირის სახელით დასასწრებლათ.

ხუსეინ.

## სოხუმის ოლქის გლეხთა მეორე ყრილობა

(დასასრული).

საღამოს სხდომაზე ყრილობამ ერთხმად მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული მიწის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია:

1) ყველა მიწები: სახაზინო, კერძო მემამულეების, სამონასტრო და საეკლესიო საადგილ-მამულო კომიტეტების საშვალებით უნდა გადაეცეს უფასოთ მშრომელ ხალხს.

შენიშვნა: დროებით მიწით სარგებლობის ნორმას იმუშავებს საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტი.

2) საადგილ-მამულო კომიტეტი მიწის ფონდიდან, განსაზღვრულ ნორმის მიხედვით უპირველეს ყოვლისა აკმაყოფილებს მუდმივათ ამ ოლქში მცხოვრებ იმ გლეხებს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელთაც ნაკლები მიწა აქვთ და აგრეთვე იმ აფხაზ-მოხაჯირელებს, რომლებიც მოისურვებენ ოსმალეთიდან სამშობლოში დაბრუნებას.

3) ყველა თავისუფალი მიწები და ტყეები გადადის საადგილ მამულო კომიტეტების ხელში, რომლებიც ვალდებულნი არიან დაიცვან დატაცებისა და განადგურებისაგან.

4) საკითხი მოიჯარადრეების შესახებ რჩება ღიათ. მანამდე, სანამ უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება არ გადაწყვეტს ამ საკითხს საერთო მასშტაბით.

5) საიჯარო გადასახადის მაგიერ წესდება მიწის ბეგარა, რომელიც განისაზღვრება საადგილ-მამულო კომიტეტის მიერ.

6) მიწის ბეგარა გადადის საადგილ-მამულო კომიტეტის ფონდის ხელში.

7) აგრარულ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, არ უნდა იქნას დაშვებული გარედან მოსულ ელემენტების მიერ თავისუფალ ადგილებზე დასახლება.

8) მიწების ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია. ყველა ხელშეკრულებანი, მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, რომელთაც ადგილი ქონდა 1917 წლის 3 მარტამდე, კარგავენ თავის დანიშნულებას.

9) საადგილ-მამულო კომიტეტები მუშაობენ აფხაზთა სახალხო საბჭოს კონტროლის ქვეშ.

10) საჩქაროთ დაარსებულ იქნას საადგილ-მამულო კომიტეტები სოფლის, რაიონის (უჩასტკის) და საოლქო საერთოდ მიღებულ წესით.

11) მემამულენი, ყოფილი თავადები და აზნაურები მიიღებენ მიწას იმდენს, რამდენსაც გლეხები.

12) ყველა კულტურული მამულები ხელუხლებლათ უნდა იქნას დაცული სოფლის საგლეხო კომიტეტების მიერ, რომლებიც იქნება ოლქის საადგილ-მამულო კომიტეტის კონტროლის ქვეშ და

13) მიწის სარგებლობის ნორმა წესდება მომხმარებელი, ან და შრომის იმისდამიხედვით, თუ რა ნაირი ტიპის მეურნეობა არის.

კრების დამთავრებისას ილაპარაკა საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელმა ქრ. რაჭველიშვილმა. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში იგი აღნიშნავს იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს ჩვენი მხარე და მოუწოდებს ყრილობას შეკავშირებულ და სოლიდარულ მოქმედებისაკენ. „ჩვენ სხვას არაფერს არ ვედავებით, მარა არავის მივცემთ იმის ნებას, რომ ჩვენი კერა, ჩვენი ოჯახი დაანგრიოსო" დაათა ორატორმა. ყრილობამ მას მქუხარე ტაშისცემით უპასუხა.

ბოლშევიკი ლაკობა აცხადებს, რომ რადგანაც ყრილობა ასცდა სწორ გზას, მან ვერ შესძლო საჭირბოროტო კითხვების სასურველათ გადაჭრა, მას—ამის შემდეგ, არ შეუძლია რაიმე საპასუხისმგებლო საქმე იკისროს. ამიტომ სთხოვს ყრილობას არაფერში არ დაასახელოს იგი (ხმები: ძალიან კარგი, დიდათ სასიამოვნოა).

9 მარტს მოხდა უკანასკნელი კრება. ამ დღეს დანიშნული იყო ბატერეიაზე ტრაღიკულათ დახოცილთა დასაფლავება. ყრილობამ მოასწრო დანარჩენ კითხვების განხილვა. ესენი იყო: სასურსათო საკითხი და მობილიზაცია. პირველი კითხვის შესახებ ყრილობამ ცოტა ხნის კამათის შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოხდეს სრული რევიზია როგორც საოლქო, ისე სარაიონო (უჩასტკის) სასურსათო კომიტეტების. ა) საოლქო კომიტეტის რევიზიას ახდენს კომისია, რომელიც უნდა შედგეს აფხაზთა სახალხო საბჭოს და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლებისაგან, უჩასტკის—იგივე კომისია და საოლქო სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელი, ბ) რაიონული (უჩასტკის) სასურსათო კომიტეტები, თუ შესაძლებელი დარჩა, სრულებით უნდა გაუქმდეს და სანოვაგების განაწილება მიენდოს კოოპერატივებს, ვ) მოხდეს საოლქო სასურსათო კომიტეტის რეორგანიზაცია და მისი შტატი შემცირდეს მინიმუმამდე, ზ) გამოცხადდეს მთელ ოლქში თავისუფალი ვაჭრობა, აიკრძალოს სასურსათო კომიტეტების მიერ კერძო პირების მიერ შემოტანილი საქონლის რეკვიზიცია, სასურსათო კომიტეტებს დაევალოს საქონლისა და სურსათის მოტანა და მისი განაწილება სასურსათო რაიონებს შორის და ნიხრის დაწესება". მობილიზაციის შესახებ ილაპარაკა თავმჯდომარემ. მან მოკლეთ განუმარტა ყრილობას მისი მნიშვნელობა და საჭიროება დღევანდელ მომენტში და წინადადება მისცა ყოველ მხრივ მხარი დაეჭირათ მისი სასურველათ ჩატარებისათვის. „რაც შეეხება აფხაზებს—განაცხადა თავმჯდომარემ—ეს კითხვა მათ ცალკე უნდა გადასწყვიტონ. თუ აზხაზები მოისურვებენ მათ შეუძლიათ დიდი დახმარება გაგვიწიონ. მათი ინტერესები კი მოითხოვენ, რომ ამიერ-კავკასიის სხვა ერებთან ერთად დაიცვან საერთო სამშობლო. თუ აფხაზეთის შვილნი დასავლეთ ფრონტზე ღვრიდენ სისხლს, მსხვერპლათ ეწირებოდენ, ვის და რისთვის თვითონაც არ იცოდენ. მით უმეტეს ვალდებულნი არიან ისინი ჩვენთან ერთად დაიცვან სამშობლო და თავისუფლება"-ო. მეტათ მგრძნობიარე სიტყვით უპასუხა თავმჯდომარეს გუდაუთის გლეხების წარმომადგენელმა აფხაზმა ჭალარა გლეხმა იაკუბ ტარბამ „ჩვენო—განაცხადა მან—ბუნებით თავისუფლების მოყვარულნი ვართ, ჩვენ გვიყვარს თავისუფლება არა მარტო ჩვენთვის, არამედ სხვისთვისაც. და როცა ლაპარაკია ჩვენი მეზობელ ერის თავისუფლებაზე, იმ ხალხის ბედზე, რომელთანაც ჩვენ ისტორიულათ დაკავშირებული ვიყავით და დღესაც გავუწოდეთ რა ერთმანეთს ძმური ხელი, მჭიდრო კავშირი შევკარით—აქ ლაპარაკი მეტია, რომ ჩვენც თქვენთან ერთად უნდა დავიცვათ თავისუფლება. ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ჩვენს საბჭოს საჩქაროთ გადაწყვიტოს ეს კითხვა, დაგვიძახოს და ამ დაძახებაზე აფხაზეთი ფეხზე დადგება და თქვენთან ერთად იბრძოლებს ისე, როგორც ეს შეფერის თავისუფლების შვილთ"-ო. მოხუცის სიტყვას ყრილობა საერთო აღფრთოვანებით და ტაშით შეხვდა.

ყრილობის დასრულებისას ლაპარაკობს ამხ. გ. ჩხიკვიშვილი. თავის უკანასკნელ სიტყვაში იგი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ყრილობამ შესძლო მოქმედების საერთო ხაზის გამონახვა, რომ პროვოკატორების და ბნელი ძალების ბოროტმა აგიტაციამ ვერ გასჭრა და სოხუმის ოლქის სხვადასხვა ერთა გლეხობა ერთად დაირაზმა. „საჭიროა ყველა ის, რაც აქ დაადგინეთ ცხოვრებაში გაატაროთ. ამიტომ როცა დაიშლებით და თავთავიანთ სოფლებში წახვალთ ადგილობრივ უნდა გააჩაღოთ მუშაობა. თუ არა და ყველაფერი ქაღალდზე დაწერილი დარჩება და თქვენი მდგომარეობა ოდნავათაც არ გაუმჯობესდება. თქვენ ნუ უჯერით იმათ, რომლებიც ირწმუნებიან, რომ თითქო თქვენ იყოთ ქვეყნის მხსნელი, ყველაფრის გაკეთება შეგეძლოთ და სხ. არა ეს არ არის მართალი და ეს მშრალი სიტყვები ნუ გაგათამამებთ. არც ის არის მართალი, თითქო თქვენ წმინდა წყლის სოციალისტები იყვეთ და ასეთები დარჩებით მუდამ. პირიქით, თითოეული თქვენთაგანი იმას ცდილობს რომ რაც შეიძლება მეტი მიწა შეიძინოს, გააფართოვოს საკუთრება და სხ. ამგვარათ თქვენ სოციალიზმს თანდათან შორდებით და ჩვენც სოციალ-დემოკრატები თქვენთან ვრჩებით, როგორც დემოკრატებთან, ამ მხრივ ჩვენ თქვენი განუყრელი მეგობრები ვართ და ვიქნებით. გისურვებთ ყრილობის მიერ მიღებული დადგენილებანი სავსებით გაგეტარებიათ ცხოვრებაში და თქვენ მიერ ერთმანეთისადმი ძმურად გაწვდილი ველი ყოფილიყოს ერთაშორის ძმობისა და სოლიდარობის სამუდამოდ განმტკიცების გამომხატველი"-ო. ყრილობამ იგი ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა.

სამურძაყანოს გლეხთა წარმომადგენელი ჭალარა ბელქამია ყრილობის სახელით მადლობას უძღვნის თავმჯდომარეს და თფილისის და ზუგდიდის დელეგაციებს.

თავმჯდომარეს იგი ასეთი სიტყვებით მიმართავს: „როგორც ადამიანს უწყლოდ და უჰაეროთ არ შეუძლია გასძლოს, ისე ჩვენ არ შეგვიძლია უთქვენოთ გავძლოთ. სოხუმი და სოხუმის ოლქი უთქვენოთ აღარაფრათ ვარგა. ამიტომ აქედან, სოხუმიდან თქვენ ფეხი ვერ უნდა მოიცვალოთ"-ო... ყრილობა ხანგრძლივი

---

გვყავდა შტაბში, მაგრამ ცხინვალის აღების შემდეგ აჯანყებულებმა ის ჩვენ მიერ დაჭერილ ყაჩაღებთან ერთად გაანთავისუფლეს და კომისრადაც დასტოვეს.

### 7. გმირები.

როცა კოტე გორისკენ მიდიოდა, მისი ცოლი გორიდან ჩვენკენ მოქროდა ამბის გასაგებათ. მაგრამ თავდადებულ ცოლ-ქმრის გმირობამ ვერ დაგვიხსნა უბედურებისაგან, ჩვენი გაჭირვების ამბავი კვირა საღამოსვე უნდა ცოდნოდათ როცა ტელეგრაფი გააფუჭეს, მაგრამ მიუხედავათ ამისა კოტეს ცოლი ჩვენი უბედურების გასაგებათ ჩამოსულიყო. რა აღფრთოვანება გამოიწვია მისმა მოსვლამ და რა მალე შეაკვეცა ფრთები ჩვენს იმედებს. უკვე თორმეტი საათია და დახმარება არ სჩანს, პატრონები კი გვეღევა. უნდა გენახათ, როგორ ლომებივით იბრძოდენ ჩვენი გვარდიელები: მცირე ნაწილი სანგრებში რჩებოდა, დანარჩენები კი ერთი პოზიციიდან მეორისკენ გარბოდენ და ასე ეხმარებოდენ ამხანაგებს. სამხედრო ტეხნიკის მხრით ეს სასურველი არ იყო, მაგრამ რა უნდა ექნა ორას კაცს, როგორ უნდა დაეცო მას ამოდენა სივრცეზე გაჭიმული პოზიციები. გვარდიელები კი მამაცურათ განაგრძობდენ ბრძოლას, თუმცა კარგათ ხედავდენ, თუ როგორ დნებოდა მათი წინააღმდეგობის ძალა პატრონების გამოლევით. უყურებდით ამ გმირებს და გული გიკვდებოდა: იარაღის ნაკლებობის გამო ადამიანების მსგავს მხეცების მსხვერპლი უნდა გამხდარიყვნენ. ვატყობდით, საქმე იღუპებოდა, მაგრამ იმედს არ ვკარგავდით, რომ დახმარება მოგვისწრებდა. ვერ განვახორციელეთ ვერც ტელეგრაფის აღდგენა და ვერც ალყის გარღვევა და გამოსვლა; უხერხულათ ვთვლიდით მცხოვრებლების დატოვებას მძარცველთა ხელში, ბოლოს კი, როცა დახმარების იმედი დავკარგეთ, საომარი მასალაც გამოლეული და უმწეო მდგომარეობაში ჩავვარდით, გამოსვლაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. ასეთი კრიტიკული იყო ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ გიორგი მახაბელს ღიმილი მაინც არ შორდებოდა პირზე: რამდენათ ძლიერი იყო მისი სიყვარული ხალხისადმი, იმდენათ ძლიერი იყო გამარჯვების რწმენა: მას ვერ წარმოედგინა, რომ გორიდან და თბილისიდან დროზე არ მიეშველებოდნენ. მაგრამ ბოლოს ყველაფერი იმედი დაიკარგა, როცა გამოირკვა, რომ პატრონები არ ყოფილა არც იმ ერთ დაწესებულებაში, სადაც ის ჩვენ გვეგულებოდა. ჯაშუშებმა ალბათ უკვე გადასცეს ეს ამბავი და ორი საათიდან აჯანყებულებმა იერიშები გააძლიერეს. სამ საათზე ჩვენი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: ყოველი მხრიდან საშინელი ღრიალით შემოცვივდა ბრბო და დაბას დაეპატრონა.

### 8. ოსი შავლეგ.

სამის ნახევარზე იძულებული გავხდით ჩვენი შტაბი მიგვეტოვებია და ერთი სომხის სახლში გადავსულიყავით. ერთად მოვხვდით: მე, გიორგი გ—ევი, პორ. სანდრო კეცხოველი, რ. გ. და მ—ო. სახლის ქვემო სართულში მოვთავსდით ზედ ქვევრების თავზე. მე და მ—ომ კიდევ ვსცადეთ შტაბის დათვალიერება. საშინელი სურათი ვნახეთ: იქვე ქუჩაში ეგდო სულით მობრძავი, ზორბა ვაჟკაცი. მ—ომ ვინტოვკას ხელი სტაცა და შტაბში შეარბენინა, შემდეგ იმ კაცის ასაყვანათ მოვედით, მაგრამ ადგილიდან ვერ დავსძარით. ამ დროს ჩვენი გვარდიელი აღმოჩნდა, ხელმოტეხილი, იმან გვითხრა—ის მომაკვდავი ოსიაო. მაშინ მივხვდით, რომ მტერი უკვე შემოდიოდა. ჩვენ ისევ იქ გავეშურეთ, სადაც სანდრო კეცხოველი და სხვები იყვნენ. ქვევრების თავზე დავწექით და აღსასრულს მოველოდით. აუტანელია დამარცხებულის სულიერი მდგომარეობა: ერთი საათით წინ ჩვენ მებრძოლ ამხანაგებთან ვიწექით ქუჩაში, ტყვიები პანტასავით ცვიოდა ჩვენს ახლოს, მაგრამ ჩვენს გულს შიში არ მიეკარებია. ახლა სარდაფში ვიყავით, მაგრამ შემოსულების ყიჟინა ნემსივით გვჩხლეტავდა. ნეტავი ტყვიას მოვეკალით!

მალე სროლა ატყდა ჩვენი სადგომის ზედა სართულს. სროლის შემდეგ ალაყაფის კარებს მოადგნენ და ჩვენც იძულებული ვიყავით მივეგებებოდით. ჩვენი დანახვა და „დავხვრიტოთო" ერთი იყო. არ ვიცი, რა იგრძნეს ჩვენმა ამხანაგებმა, პირადათ მე არაფერი არ მიგრძვნია, ხესავით ვიდექი, მაგრამ ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა, როცა ერთი ხიშტიანი სალდათი მოიჭრა ჩვენთან და ჩემი გვარი ახსენა. ეს იყო ოსი შავლეგ კოჟაევი. ერთხელ შენ გადამარჩინე, ახლა მე უნდა გადაგარჩინოვო. ამ ოთხი წლის უკან სამხედრო სასამართლოში 102 მუხლით ასამართლებდენ, მე მისი უფასო დამცველი ვიყავი და, უშველოს ღმერთმა, სამხედრო სასამართლომ ის გაამართლა. აი ამ შავლეგმა გადაგვარჩინა დახვრეტას ხუთი კაცი. ძალიან გაგვეხარდა ასე ადვილათ გადარჩენა, მაგრამ ისევ შავლეგმა დაგვამწარა სიხარული: ჩვენს შეკითხვაზე, თუ რათ აიღეს იარაღი, შავლეგმა აგვიხსნა: რა ვქნათ, თავადები და წითელი გვარდია გვებრძვიანო. იმისგან გავიგეთ აგრეთვე, რომ თავდამსხმელებს დიდი ზარალი მოსვლოდათ. ამ დროს იქვე ახლოს სახლს ცეცხლი გაუჩინეს და მეზობელ შენობებიდან ნივთების ქუჩაში გადმოყრა იწყეს. ჯარისკაცებსაც ეს უნდოდათ. შავლეგა და ზოგიერთი სხვები სასტიკათ ეწინააღმდეგებოდენ წვას და ძარცვას... ჩვენი იქ დადგომა შეუძლებელი იყო. შავლეგმა გამოგვაცილა: მ—ო იქვე მოგვშორდა. რ. გ. და სანდრო კეცხოველი სხვა ქუჩით წავიდნენ. ნეტავი არ მოგვშორებოდნენ: ერთი საათის შემდეგ ამბავი მოგვიტანეს: სანდრო ქუჩაში დახვრიტეს, სასამართლოს შენობის წინო. ვინ დახვრიტა, არავინ იცის. ოსები ავრცელებენ ხმებს, ვითომ გორის პოლკის ჯარისკაცებს დაეხვრიტოთ, ქართველები კიდევ ამბობენ ოსებმა დახვრიტესო. როგორც არ უნდა იყოს, ყველა გრძნობს, რომ დიდი ბოროტება ჩაიდინეს. ამბობენ, ხელები გაშალა სანდრომ და უთხრა: ჩემი თავი თქვენთვის შემოწირავსო და იქვე დაეცა ტყვიებით განგმირულიო. მე მჯერა, რომ ჩვენი მოხუცი სხვას ვერას იტყოდა.

### 9. მოქალაქენი.

როგორია მოქალაქეთა სულიერი განწყობილება. ჩემს დღეში ისეთი სიძულვილი არ მიგრძვნია ადამიანისადმი, როგორიც ამ დღეებში ვიგრძენი. როცა ჯარისკაცები მოქალაქეთა ქონებას ეზიდებოდენ, როცა ერთ სახლს ცეცხლი მოუკიდეს და ცხინვალს გადაბუგვა მოელოდა—აუტანელი იყო მათი მდგომარეობა, მაგრამ ჩვენ რას გვერჩოდენ: წყევლა-კრულვით გვეგებებოდენ ქუჩებში. ენა გაუხმეს იმას, ვინც პირველათ თავისუფლებაზე დაიწყო ლაპარაკიო. ეს ჩვენ გვეხებოდა. და ამავე დროს ერთი ოსი ამოღებული ხანჯლით მოგვყვებოდა უკან, საკმაო იყო ხანჯალი დაერტყა, რომ სხვა ჯარისკაცები მოშველებოდენ. მაგრამ ამ შავლეგმ თოფის კონდახით გამოუდგა და ბრბო გაფანტა, ხანჯლიანი ოსიც მოგვაშორა და ერთ ქოხში მიგვიყვანა ლიახვის პირათ. მშვენიერი ალაგი იყო. ისე დავიმალებოდით, რომ ეშმაკიც ვერ გვიპოვიდა, მაგრამ სახლის პატრონმა გამოგვაგდო. უკეთ რომ ვთქვათ ჩვენ არ მოვინდომეთ მისი შეწუხება, თორემ ვერას დაგვაკლებდა. ჯერ კიდევ არ ბნელოდა, როცა გამოვედით, ჯარისკაცები ნატაცებ ნივთებს ეზიდებოდენ იქით-აქეთ და ქუჩაში გასვლა მაინც და მაინც საშიში აღარ იყო.

### 10 მოქალაქე პეტუევი.

ერთ სახლს მივადექით ჩვენ სამნი. ერთი ნაცნობი მყავდა და ამ სახლის პატრონი მისი ნაცნობი გამოდგა. ჩემი ნაცნობი ცხინვალში არ აღმოჩნდა, მაგრამ ჩემი ნაცნობის ნაცნობმა სახლში შეგვიპატიჟა. მარანში მოვთავსდით. სახლის პატრონი იყო ვინმე პეტუევი. მას ჩვენგან არავითარი შიში არ მოელოდა, მაგრამ 7 ს. ქუჩაში გაგდება მოგვინდომა. ამ დროს კი აჯანყებულების პატრულები იდგენ ქუჩებში და გარეთ გამოსვლა ჩვენთვის დახვრეტას უდრიდა. ეს ყოველივე აუხსენით პეტუევს, მაგრამ არავითარმა საბუთმა არ იმოქმედა. როცა ვუთხარით, ჩვენ კანონიერ მთავრობის წარმომადგენლები ვართო—ნაღვლიანათ გვითხრა: აკი დამარცხდა ახალი მთავრობაო. მე საჭიროთ დავინახე უფრო რეალურ საბუთის მოყვანა. მოკვლით დავემუქრე, თუმცა არც ერთს ჩვენგანს ჯიბის დანაც კი არ გვქონდა თან და არც კი გვიფიქრია მისთვის ხელის ხლება. ამ არგუმენტმა გასჭრა და პეტუევიც მოგვშორდა, მაგრამ შემდეგ ისევ რამდენიმეჯერ მოგვიწყო სკანდალი. ეზოში გამოვედით და რაღაც ხვრელში შევძვერით, მაგრამ კინაღამ დავიხრჩეთ. ჩვენი კეთილი მასპინძელი ორჯერ გაძარცვეს სალდათებმა. დილის 7 საათამდე მაინც იქ გავატარეთ და შემდეგ მოსამართლე რ. გაგუას ბინაზე მივედით. სულ დაცხრილულია მისი სახლი. საკვირველია ამ ოჯახის გმირული ყოფა-ქცევა.

### 11. რუთენ გაგლოევი და სამშვიდობო დელეგაცია.

ინჟენერი რუთენ გაგლოევი ჩვენი პარტიული ამხანაგია, მას ჩვენები კარგათ იცნობენ და ენდობიან. ამიტომ ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ქონდა, როცა გავიგეთ, რომ აჯანყებულებს ის შტაბის უფროსათ აურჩევიათ და მისთვის დიქტატორული უფლებები მიუციათ. მან თავისი თანხმობა შემდეგ ნაირათ ახსნა: მინდა ბრბო შევიკავო და ექსცესებს ადგილი არ ქონდესო. ეს ჩვენ გვჯერა და საკუთარი თვალით ვნახეთ რუთენის მოღვაწეობა, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გაგვიგია: ის ჩვენთან არ ყოფილა, არ იცდრებოდა არც აჯანყებულებთან ყოფნას, მაგრამ საიდან და როგორ გაჩნდა ის ცხინვალში სწორეთ მაშინ, როცა დაბაში აჯანყებულები შემოვიდნენ?

### 12. ჩვენი ნაციონალისტები.

ჩვენი ნაციონალისტები გადაჭრილათ აცხადებენ ცხინვალის ამბებს ოსურ ეროვნულ მოძრაობასთან აქვს კავშირიო. ჩემის ფიქრით, ეს შეცდომაა. ოსი ნაციონალისტები რომ მუშაობენ, ეს ცხადია. მაგრამ ხალხი აქ არაფერ შუაშია. იმდენათ ძლიერია ოსებში ინტერნაციონალიზმი, რომ „აჯანყებულებმა" ცხინვალის დაჭერის შემდეგ მეთაურათ სოციალ-დემოკრატი აირჩიეს, დეე მარტო სახელს ატარებდეს ის სოციალ-დემოკრატის—ეს სულ ერთია. ოსების მასას, სხვას რომ თავი დავანებოთ, კარგათ ესმის, რომ ქართველებთან ომით მას ხეირი არ დაეყრება. არ გრძნობენ მხოლოდ ოსი ნაციონალისტები. ეს არც გასაკვირია, როცა ოსებში ჯერ კიდევ ძლიერი გავლენა არ ყოფილა სტრაჟნიკების და მთავრობის მამასახლისების. მაინც საინტერესოა, როგორ მოახერხეს ნაციონალისტებმა ამოდენა ხალხის ამოძრავება. საკმაო თვალი გადავავლოთ დამცემთა შემადგენლობას: მათში ოსებიც არიან და ქართველებიც და თუ ოსობა სჭარბობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რაიონში თითქმის მარტო ოსობა ბინადრობს. და როგორც ოსები, ისე ქართველები ფრონტიდან მოსული ჯარისკაცებია, რომელნიც „ბოლშევიზმის" ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებიან. მოკლეთ რომ ვთქვათ—ცხინვალის აჯანყება—ეს არის ოსი ნაციონალისტების და გაბოლშევიკებულ ჯარისკაცების შეერთებული გამოლაშქრება რევოლიუციის წინააღმდეგ. ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა კონტრ-რევოლიუციურ გამოლაშქრებასთან და ეს კარგათ უნდა დავიხსომოთ.

კ. ჩინიძე.

ტაშით და აღფრთოვანებით შეხვდა მოხუცის სიტყვას. ამხ. ჩხეკვაძის ოვაცია გაუმართეს და მით ყრილობაც დაიხურა.

---

ამ გვარად, 5 დღის მუშაობის შემდეგ ყრილობა დამთავრდა. განსაკუთრებულ 3 რიგებში, მეტად ცუდ ატმოსფეროში შეიკრიბა იგი. ამიტომ ბევრი კითხვები გადაუჭრელი დარჩა და ბევრიც ისე ვერ გადაიჭრა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ ერთი კი ცხადია: სოხუმის ოლქის გლეხობამ ზურგი შეაქცია ბოლშევიკებს, უკუ აგდო მათი ლოზუნგები და ამიერკავკასიის დემოკრატიასთან ერთად იგი ამიერ-კავკასიის სეიმში ხედავს ჩვენი ქვეყნის ხსნას. გარდა ამისა, ამ ყრილობაზე საბოლოოთ გამოირკვა აფხაზების დამოკიდებულება ჩვენთან, ქართველებთან. აფხაზეთის ხალხის და მისი ინტელიგენციის შეგნებული ნაწილის სურვილებმა ხორცი შეისხა. აფხაზეთმა გადასწყვიტა ამიერ-კავკასიის ერთა საერთო ოჯახში შევიდეს, როგორც სრულუფლებიანი წევრი და დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად გამოსჭედოს თავისი ბედი და საუკეთესო მომავალი...

---

ყრილობის მიერ ამორჩეულმა გლეხთა საბჭომ უკვე გამოჰყო აღმასრულებელი კომიტეტი. არჩეულ იქნა 9 კაცი: არ. ეშუხვარი, მ. წავა, გულია, ცაგურია, დოცენკო, ვ. ეშბანჯია, აბუხბა, ძიძარია და ბარციცი, მდივნათ ჯემგუა. აქედან 6 სოც.-დემ. მენშევიკი, სამი ესერი და ერთი უპარტიო.

ვ. ქ.

# სოც.-დემ. პარტიაში

**ტფილისი.** 22 მარტს მოხდა რ. ს.-დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის კრება. დაესწრო 11 წევრი. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: პარტიული დისციპლინა; რკინის გზის სამართველოს აღმასრულებელ კომიტეტის განცხადება, ტფილისის ორგანიზაციის რ. ს.-დ. მ. პ. წევრის ფირცხალაურის მიერ ერთ-ერთ მის წევრის შეურაცხყოფის შესახებ; პარტიული მუშაობა; მომხმარებელ საზოგადოების „მოსავალი“-ს განცხადება; ალექსანდროვის ბაღში მომხდარი ამბები; თავისუფალი ვაჭრობა ქალაქში პურით და მაგარი სასმელებით; დახოცილ წითელ გვარდიელთა ოჯახობის უზრუნველყოფა; რუსთა ყრილობა; მეშვიდე რაიონის შექმნა და განცხადება.

კრებას ხსნის თავმჯდომარის ამხანაგი ბერიტაშვილი. მდივანი კითხულობს წინა კრების ოქმს, რომელიც მიღებულ იქნა. კრებას აცნობებენ საოლქო კომიტეტის 22 თებერვლის დადგენილებას, რომელიც უკრძალავს კერძო პირებს, პარტიის წევრთ, სხვადასხვა უპარტიო რევოლუციონურ დაწესებულებებში და პრესაში გამოსვლას ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილების წინააღმდეგ. ირკვევა, რომ ზოგიერთ სხვადასხვა მიზეზების გამო ხელმძღვანელი ორგანიზაციები ვერ ასწრებენ ყველა მათ დადგენილებების ფართო პარტიულ წევრებში გადატანას, რის გამოც ადგილი აქვს ზოგიერთ ამხანაგებისაგან პარტიულ დადგენილების წინააღმდეგ გამოსვლას. დადგენილ იქნა: პარტიული და ყველა მისი ხელმძღვანელ ორგანიზაციების დადგენილებანი სავალდებულოა ყველა პარტიულ წევრთათვის და ეცნობოს ტფილისის და საოლქო კომიტეტებს, რომ მათი დადგენილებანი დაუყოვნებლივ ეცნობოდეს პარტიულ ორგანიზაციებს.

რკინის გზის სამმართველოს აღმასრულებელ კომიტეტის განცხადება ერთ-ერთ მის წევრის შეურაცხყოფისა გარდაეცა გასარჩევათ, პარტიულ წესდების მიხედვით, მეორე რაიონულ კოლექტივს, რომელშიაც შედის რკინის გზის წარმომადგენლობა. ამხანაგი ჯვარჯალაძე აღნიშნავს, რომ პარტიული მუშაობა დღეს ტფილისში სრულიად მიტოვებულია. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ შევიქნებით მოწამენი პარტიის დაუძლურებისა. მას საჭიროთ მიაჩნია ყველა დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას. „დღეს ჩვენი ძალები დაფანტულია სხვადასხვა უპარტიო დაწესებულებებში. იქაც, რა თქმა უნდა, ისინი საჭირონი არიან, მაგრამ ჩვენ უწინარეს ძალა უნდა ვიხმაროთ,—ამბობს ის,—რომ განვათავისუფლოთ ზოგიერთი ამხანაგები და ჩავაბათ პარტიულ მუშაობაში“. ასეთივე აზრს გამოსთქვამენ სხვა წევრებიც. მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: ტფილისის კომიტეტმა, რაც შეიძლება ჩქარა მოიწვიოს ორი მუდმივი პროპაგანდისტი, რომლებიც მატერიალურათ უზრუნველყოფილ იქნებიან; მოწვეულ იქნას სამშაბათს, 27 მარტს, ს ღამის 6 საათზე, შეერთებული სხდომა ტფილისის კომიტეტის და ყველა ჩვენი ფრაქციებისა: სეიმის, საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტებისა, რათა გამოირკვეულ იქნას, რა ძალები გვყავს და ვის რამდენი დრო შეუძლია მოახმაროს პარტიულ მუშაობას.

მომხმარებელ საზოგადოების „მოსავალი“-ს განცხადება დღის წესრიგიდან მოხსნილ იქნა, როგორც ისეთი საკითხი, რომელიც არ შედის კომიტეტის კომპეტენციაში.

ალექსანდროვის ბაღში მომხდარ ამბების შესახებ ამხ. ნინუა აღნიშნავს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ბოლშევიკების მეთაურობით, ეწევიან მაღალ ხარისხის დემაგოგიას, თითქოს ეს საკითხი „დაემალოს“ აღმასრულებელ კომიტეტს. დადგენილ იქნა მიიღოს ჩვენმა ამხანაგებმა აღმასრულებელ კომიტეტში ზომები, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამორკვეულ და გამოქვეყნებულ იქნას საგამომძიებლო კომისიის მიერ ამ საქმის სრული ვითარება.

ქალაქში თავისუფლათ პურის გაყიდვის შესახებ ტფილისის კომიტეტი ეთანხმება ამას წინათ მომხდარ ამ საკითხის გასარკვევათ ჩვენი ამხანაგების თათბირს. რაც შეეხება მაგარ სასმელებით ვაჭრობას, ეცნობოს ქალაქის თვითმართველობას ჩვენი ფრაქციის საშუალებით, რათა მან მიიღოს სასტიკი ზომები მაგარ სასმელებით მოვაჭრეთა წინააღმდეგ.

მეშვიდე რაიონის შექმნის შესახებ გადაწყდა: მიენდოს მესამე რაიონულ კოლექტივს გაყოს მესამე რაიონი უბნების სივრცის მიხედვით ორ რაიონათ.— გამოყოფილს ეწოდება მეშვიდე რაიონი და წარედგინება დასამტკიცებლათ ტფილისის კომიტეტს.

დახოცილ წითელ გვარდიელების ოჯახთა მატერიალურათ უზრუნველყოფის საკითხის გამო კომიტეტმა დაადგინა მიმართონ ჩვენ ამხანაგებს, სეიმის წევრების, პირით მთავრობას, რათა მან პრინციპიალურათ დააყენოს და გადასჭრას დახოცილ წითელ გვარდიელთა ოჯახობის უზრუნველ ყოფის საკითხი, რომლებიც იბრძვიან და იხოცებიან სამშობლოსა და რევოლუციის დასაცავათ.

მიენდო პრეზიდიუმს აცნობოს პრესის საშუალებით პარტიის წევრებს, რათა მათ დააჩქარონ პარტიული საწევრო ბარათების განახლება და თავის დროზე გადასახადების შემოტანა.

ამხანაგი კოვალიოვი აკეთებს მოხსენებას, ინფორმაციის სახით, რუსთა ნაციონალურ საბჭოს შესახებ. სულ, ამბობს კოვალიოვი, საბჭოში არჩეულ იქნა 47 კაცი. ყველაზე ძლიერი სოც. დემ. ფრაქციაა, შემდეგ—სექტანტები, რომლებიც ყველა მთავარ საკითხში ჩვენ გვემხრობიან. პრეზიდიუმშიაც, უმთავრესათ, ჩვენი ამხანაგები გავიდნენ.

ამხ. კალანდაძე აცნობს კრებას, რომ განმანაწილებელ პუნქტში მოსამსახურეებს, უფულობის გამო, რამოდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ. 21 მარტიდან ისინი აცხადებენ გაფიცვას. მიენდო ამხ. კალანდაძეს იქონიოს, ერთი მხრით, მოსამსახურეებთან მოლაპარაკება, რათა მათ არ განახორციელონ ასეთი საშვალება ავათმყოფობის წინააღმდეგ და მეორე მხრით, გააცნოს ეს საქმე მუშათა სექციას, რომ მან საშვალება იხმაროს, და რამდენათაც ეს შესაძლებელია დღევანდელ პირობებში, იშუამდგომლოს დაკმაყოფილებულ იქნას მართლაც ცუდ მდგომარეობაში მყოფი მუშები.

კომიტეტის მდივანი.

# მუშათა შორის

**ტფილისის ტრამვაი.** ტრამვაის ელექტრონის სადგურში მუშაობს 40 მუშა. ამათში უმრავლესობა პარტიის წევრებია, არიან ძველი მუშებიც, რომლებიც 1901 წლიდან მუშაობდენ პარტიაში, მაგრამ ამ ჟამათ ამათში არავითარი ორგანიზაციული მუშაობა არ იყო. 18 მარტს გ. თავდიშვილმა მოიწვია ყველა წევრების კრება. გააკეთა მოხსენება, მოუწოდა ამხანაგებს ორგანიზაციულათ მუშაობისკენ, რადგანაც ჩვენი პარტიის წევრობა არაფერს არ ნიშნავს, თუ ჩვენ არ გვექნება კავშირი მეორე რაიონის კოლექტივთან. ავირჩიოთ ჩვენი წარმომადგენელი კოლექტივში. აირჩიეს დ. მერვალიშვილი; გარდა ამისა განმარტა თუ როგორ მოვაწყოთ ორგანიზაციული მუშაობა. ჩვენ ავირჩევთ პრეზიდიუმს, რომელიც გასწევს ხელმძღვანელობას ჩვენს ორგანიზაციას. გადმოიტანს ყველა კითხვებს კოლექტივიდან, მოიწვევენ ლექტორს და სხვა. ბოლოს მომხსენებელი უსაყვედურებს წითელ გვარდიელებსა, რომელიც 2 თვის წინეთ შესდგა. (1 ათეული) მიიღეს იარაღები, ტანისამოსი და დააწყვეს სახლში. ესეთი მუშაობა არ იქნება, ეს მოტყუილებაა ჯერ ჩვენი თავის და მერე ჩვენი ამხანაგების, რომელთაც ჩვენი იმედი აქვთ და ჩვენ კი ვერ ვასრულებთ მოვალეობასო. თუ რომელიმე პირობები გიშლით ხელს და ვერ ასრულებთ თქვენს მოვალეობას, მაშინ დააბრუნეთ ყველაფერი უკან და ეს ყველას ემჯობინება. ამით გაათავეს კრება. არჩეული არიან თავმჯდომარე გ. კერვალიშვილი ამხანაგ. ს. ქიტიაშვილი, მდივნათ ა. დიასამიძე.

გარეთ კახელი.

# პროვინცია

**ბათუმი.** 15 მარტს შესდგა კრება მიხეილის საციხოვნო სიმაგრის მესამე როტისა; სხვა მრავალ გასარჩევ კითხვებთა შორის გასარჩევი იყო კითხვა:—რომელ საკუთრივ დაწესებულებას მოხმარდეს ის 31 მ.ნ. 30 კაპ., რომელიც გადარჩა იმ საერთო თანხას, რომელიც მოგროვილი იყო ამხანაგებთა შორის, ტრაღიკულად გარდაცვლილ ამხ. ჯარის კაცის გიორგი დოლიძის დასაფლავების ხარჯების დასაფარავათ. კრება უმრავლესობით ადგენ: ეს დარჩენილი ფული მოხმარდეს ამავე როტის სამკითხველოს, ვინაიდან გაწევნული ითვლებოდა როგორც წითელ გვარდიაში, ისე ამ როტის ჯარისკაცათ. ამავე კრებაზე როტის სამკითხველოს 10 მანეთით დახმარება აღმოუჩინა, ამხ. იანე ჩხაიძემ, გასულ კრებაზე კი 25 მანეთი შესწირა ამხ. ხარ. მახარაძემ იმავე სამკითხველოს და მით პირველი საშუალება მოგვცა როტაში სამკითხველოს დაარსებისა. როტის სამკითხველოს განაგებენ როტის მიერ არჩეულნი ამხ. დათ. გოგუაძე, შ. მახარაძე და ა. ქეჩნტი. ვუსურვებ არჩეულ პირებს ამრჩეველების დავალება პირ-ნათლად შეესრულებინოთ.

დ. ბაიხოშვილი.

---

**ველისციხე** (კახეთი). მთელს კახეთში საუკეთესო ჯეჯილებია. საერთოდ პურის მოსავალს კარგი პირი უჩანს; ამან გამოიწვია პურის ფასების დაცემა. მოსალოდნელია, რომ კიდევაც დაეცემა პურზე ფასები. ნავთი როგორც ადგილობრივ, აგრეთვე სხვა სოფლებში შემოაქვთ ქურთებს აქლემებით. ფუთს დაახლოვებით მანეთ, ექვს აბაზათ ჰყიდიან.

ადგილობრივი ახალგაზრდები 18—25 წლამდე უკვე გაიწვიეს ჯარში, მხოლოდ მარტო „სომხები“. ქართველებიც ამ დღეებში წავლენ. „სომხების“ ცალკე წასვლამ ხალხში უკმაყოფილება გამოიწვია. იძახოდენ:—ჩვენ ყველა ძმები ვართ, ჩვენში ქართველსა და სომეხს გარჩევა არა აქვსო. მტერთან ბრძოლაში ყველა ერთად უნდა დავიხოცოთო.

თვითონ „სომეხი“ ჯარისკაცები განაგრძობდენ:—ჩვენც ქართველები ვართო. რაზე გვატყობენ სომხობას, როცა სომხურისა „ინჩიც“ არა ვიცითო.

18 მარტს ს. ურიათუბნის გლეხებმა დახვრეტით გაათვითსამართლეს არჩილ შაქარაშვილი, ალექსი მეკოკიშვილი და თუშკა (მეტი სახელია) კანაშვილი. დაიჭირეს და დაამწყვდიეს ნიკა ხეჩოშვილი; გაიქცნენ სანდრო განუჩარაშვილი და შაქრო ჭარაქაშვილი. ამათ ყველას დაჰბრალდათ ლევან მეკოკიშვილის სადგომ ეზოში ქურთების სამი გუდა ნავთის მოპარვა აქლემებიდან, (გუდაში 3 ფუთი ჩადის), რაც დაუმტკიცდათ. 19 მარტს ველისციხეში გარეცვლებულ ხმების თანახმათ სოფ. კარდანახში მოუკლავთ (არ ვიცით ვის) ოთხი თავადი. მათ შორის აბელიშვილი და ვაჩნაძე. როგორც ამ ორის სახელები არ ვიცით, აგრეთვე დანარჩენ დახოცილთა გვარი და სახელები. სხვაფრივ ჯერ ჯერობით მშვიდობიანობაა.

ჯიბილა.

---

**ს. წირქვალი** (ქვათურის რაიონი). 9 თებერვალს აქ ჰქონდა ადგილი საზარელ მკვლელობას: ლეონტი გურული, ძმით—არჩილით და ნასალდათარი შვილებით—პარმენით და ნესტორით თოფით შეიარაღებულნი, მიუხტენ მეზობელ ალექსი მიროტაძეს და ამოსწყვიტეს ცოლშვილიანა. მოკლულია სამი სული; მეორე მხრიდან არის ერთი მხოლოდ დაჭრილი. სურათი გმირულ ნერვების მქონე მნახველსაც კი შთაგონებს—ერთის მხრით ბრძოლის ველს, მეორეს მხრით სულით საავადმყოფო ბარაკებს. ოხ! რა გულშემზარავი სანახაობაა: მშრომელთა ოჯახებში—მიცვალებულთა გვამთა გროვა და ეს ცოცხლების შეშლილთა ბრბო. საზიზღარი მკვლელობა მოხდა შურისძიების ნიადაგზე: ლეონტი გურულის ქალიშვილი—ოლიმპიადა გაყვა ცოლათ, მშობლების ნებადაურთველათ, საბრალო ალექსი მიროტაძის ვაჟს—გიორგის და ჯვარიც დაიწერეს; ლეონტიმ, შორიული სამუშაოდან დაბრუნებულმა, ცოლის მიტანილი ენით გაბრუებულმა, თავისი გარემოების ანგარიშ გაუწევლათ, ჩაიდინა ასეთი საქმე, რომლის მისაბაძი საგალითები მხოლოდ ველურ მთიულთა ცხოვრებაში მოიპოვება. თვით ტრაგედიაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩათრეული პირები ითვლებოდნენ დღემდის შეგნებულ-დარბაისელ მოქალაქეებათ. ჩემის რწმენით, მახვილის ბოროტმოქმედებისაკენ აღმართვა უნდა მიეწეროს მხოლოდ მურტალ ენას და არა წინად განზრახვას. მკვლელებიდან დაპატიმრებულია მხოლოდ არჩილი.

ს. ზოდში, ანტონ ციუმას (რუსი), 15 თებერვალს ღამით, დაეწვა სახლის ნაწილი დიდძალი ტანთსაცმელებით და ოჯახის ალაფეულობით. ზარალი 2000 მან. აღემატება. ცეცხლი გაჩნდა გაუფრთხილებლობის ნიადაგზე.

ბიდაურელი.

---

**დიდი ჯიხაიში.** 18 მარტს მოხდა კოოპერატივის „წინ“-ის კრება. წლიურმა ანგარიშებმა გვიჩვენა შემდეგი: 1917 წ. განმავლობაში გადაბრუნებულა 157 ათასი მანეთი. ყოველ ხარჯის გარდა მოგება დარჩენია დუქანს 10 ათასი მანეთი. წლიური ანგარიშები კრებამ დაამტკიცა. კამათი გაიმართა მოგების განაწილებაზე. გამგეობის მოხსენებით, მოგება საქველ-მოქმედო მიზნით უნდა განაწილებულიყო ერთი ჯგუფი მოითხოვდა მონაწილეებს პაის მიხედვით დარიგებოდათ, დიდი უმრავლესობით გადაწყდა განაწილებულიყო საქველ მოქმედო და საზოგადო საქმეებზე. განაწილება მოხდა შემდეგ ნაირათ: სათადარიგო თანხათ 1014 მან. 72 კ. პაის მიეცა 10 პრ.—1191 მან. საქველ-მოქმედო მიზნით გადაიდვა 1522 მან. 8 კ. 16 მარიობისთვეს ვერაგულათ მოკლულ აგრ. ი. ქუთათელაძის ფონდისთვის 500 მ., ბათუმის ფლოტის დამორჩილების დროს მოკლეთ ამხ. ს. ც გერეიშვილის ფონდისთვის 300 მან. ადგ. კოოპერატივის შენობისთვის 2000 მან. სახალხო სახლისთვის 2000 მან. ეროვნულ საბჭოს 250 მან. ღარიბ ჯარისკაცთა ოჯახის დასახმარებლათ 1000 მან. ადგ. აღმ. კომიტეტის ხარჯების დასაფარავათ 370 მან. საკვირაო სკოლისთვის 300 მან. ადგ. ცენტრ. სამკითხველოსთვის 300 მან. უბნებში სამკითხველოსთვის 50—50 მან. ადგილობრივ სკოლების ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ 222 მან. ღარიბ სტუდენტებისთვის სტიპენდიათ 600 მან. აღსანიშნავია ხსენებული კრების პროგრესიული ნაბიჯები, მით უმეტეს, რომ ადგილობრივ ბანკის წლიურმა კრებამ, რომელიც მოხდა წარსულ კვირაში, ერთი კაპეიკიც არ გამოიღო ზემო აღნიშნულ საზოგადო საქმეებისთვის.

აქ მობილიზაცია 18—25 წლამდი მშვიდობრათ ჩატარდა. მოხდა უბნობით კრებები, სადაც გარკვეულ იქნა ამიერკავკასიის მდგომარეობა, და ხალხის შეიარაღება 19—45 წლამდი. ყველგან აღფრთოვანებით შეეგებენ თავდაცვისთვის შეიარაღებას, ეწერებიან მოხალისეთა რაზმშიც, საჭიროთ მიაჩნიათ ერთ შვილზე შეღავათის შეცვლა, ამბობენ, ზოგი მამა განთავისუფლებულ შვილზე ჯან-მრთელია, მუშა არის და ამისთანების შვილი გაყვანილი უნდა იქნესო.

იოსებ ივანეს ძემ სანაძემ ახლათ გადაცვალებული მამის სახსოვრათ აქაურ სახალხო სახლის ფონდისთვის შესწირა 200 მან.—5 თებერვალს აქ გარდაიცვალა 120 წლის მოხუცი თომა შუბლაძე, რომელსაც უკანასკნელ დღემდი არ დაუგდია მუშაობა, და კარგათ ახსოვდა როცა ბათუმი თათრების ხელში იყო; როგორ ვაჭრობდენ იმერეთის ახალგაზრდა ქალვაჟებით და გაჰყავდათ ისინი ტყვეთ ოსმალეთში.

ლ. ზემოხეთელი.

---

გამოვიდა და იყიდება **ოზილი მუშის** წიგნი

## „მომავალი“

(ლექსები და პოემები)

გამოცემა უშანგი ელიავასი. ფასი 4 მანეთი. წიგნის გავრცელების საქმე მინდობილი აქვს კანტორა „განათლებას“ (ოლღას ქუჩა). ვინაიდან წიგნი ერთობ ძვირი დაჯდა, აგენტებს პროცენტები ცოტა ეთმობა. წიგნები ნისიათ არავის გაეგზავნება. (10—3)

---

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიენდის ქუჩა, № 19

---

ექიმი

## დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული პალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

---

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

## გ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

---

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

---

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით დილის 10—12 საათამდე, ღარიბები უფასოთ მიიღება.

(24—5)

---

ექიმი ქალი

## რ. ბ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

---

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორ“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

---

## ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

## ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

---

ექიმი

## გ. დონხინი

ყოფილი იასისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ექიმი

## დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

---

## ექიმი კ. ი. მვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა ხნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ჭავჭავაძის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით ტელ. 15—00.

---

## ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვანის აფთიაქის გვერდით.

---

მიმდინარე წლის 19 მარტს ქალაქის საბჭომ დაამტკიცა

## ტრამვაის ახალი ტარიფი,

რომელიც ძალაში შედის მ. წ. 24 მარტიდან.

**ახალი ტარიფის თანახმად მიმოსვლაზე დაწესდა გადასახადი:**

| | |
|---|---|
| ერევნის მოედნიდან საუფლისწულო სარდაფამდის | 30 კაპ. |
| „ „ ზემელის აფთიაქამდე | 30 „ |
| „ „ ვორონცოვის ძეგლამდე | 30 „ |
| „ „ კახეთის მოედნამდე | 30 „ |
| „ „ ამაღლების ქუჩის ბოლომდე | 30 „ |
| „ „ ოლღის ქუჩის ბოლომდე | 30 „ |
| ზემელის აფთიაქიდან—სადგურამდე | 30 „ |
| ვორონცოვის ძეგლიდან—სადგურამდე | 30 „ |
| კახეთის მოედნიდან—გოსპიტლამდე | 30 „ |
| გოსპიტლიდან—აბანოებამდე | 30 „ |
| ვორონცოვის ძეგლიდან—„სამანის“ მოედნამდე | 30 „ |
| „სამანის“ მოედნიდან—ორთაჭალამდე | 30 „ |
| სადგურიდან—ერევნის მოედნამდე | 50 „ |
| სადგურიდან—„სამანის“ მოედნამდე | 50 „ |
| ამაღლების ქუჩიდან—ოლღის ბოლომდე | 50 „ |
| ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამმართველოდან—დიდუბემდე | 50 „ |
| სადგურის იქითა ლიანდაგი | 20 „ |

მოქალაქე ჯარისკაცნი როგორც ერთი ისე ორთავე უბნის გასავლელად ვაგონის ბაქანზე მოგზაურობის დროს იხდიან 30 კაპ.

(2—1) ტფილისის ქალაქის გამგეობა.

---

## ქართული კლუბი

კვირას 25 მარტს

## ს. ტაიშუნი

ჟურნალ „პირველ ნაბიჯის“ ფონდის გასაძლიერებლად გამართავს

## დილა-მეჯლისს

I განყ. არჩ. ზურაბოვი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას **ომი და ოსმალეთი**.

II განყ. ქართ. დრ. მსახ. კავშ. მიერ ვასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და შოთაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის ახალი შარჟი „**მოქალაქის სიზმარი**“.

III განყ. სალიტერატურო განყ. მონაწილეობას მიიღებენ: თაგუნა, გ. ქუჩიშვილი, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, ს. პართენაშვილი, ობოლი მუშა. ტაიშუნი დ. მეჩონგური, დ ლისელი, ს ერთაწმინდელი, ვანო ბარველი, პ. ფრანგიშვილი და სხვა. დასასრულ „ვაი-ვუის“ იმღერებენ ვასო აბაშიძე და ნ. გოცირიძე. დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. (3—2)

---

## ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ.—30 წლ.) გამოცხადდნენ ჩასაწერათ სრულიად ახალ დასის შესადგენათ.

ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებული მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ ტფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიათ უფასოთ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს. ხმის დაყენებას და ვისაც ხანიმღერო ხმა აღმოაჩნდება სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპ. № 11.

ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოთ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდის.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევს 4—6 საათამდე.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ წერილობით გვაცნობონ ამ მისამართით.

(5—3) ქართული დრამ. საზ. გამგეობა.